I 221
1933

33 წლის 25 იანვარი

№ 1-2

221
1933

# დროშა



ვლადიმირ ილიჩ ლენინი

მსოფლიო მუშათა კლასის ბელადი და მასწავლებელი

## საბჭოთა კავშირში





სურათზე: მძლავრი მცურავი სახორბლე ელევატორი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ შეიძინა გერმანიაში, დანიშნული ხერსონის პორტისათვის.

ელევატორის ორივე კოშკი მუშაობს დამოუკიდებლად; თითოეულ მათგანს აქვს სიმაღლე 180 ცხ. ძალიანი მოტორი და საათში სწევს 150 ტონას ხორბალს.

ვინაიდან ელევატორმა მთელი დღე-ღამის განმავლობაში უნდა იმუშაოს, იქვე არის ბინები 12 კაცისათვის, საწოლი ოთახები, კანტორა, სასადილო, სამზარეულო, აბანო და სხვ.

რიკოვის სახელობის ქარხნის ბრძმედების ცეხი

## ბოლშევიკურად შევხვდით მეორე ხუთწლედს



თბილისის ტრამვაის სახელოსნოების კომკავშირელთა საკომპრესორო ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს ამხ. თოფურია სტალინის სახელობის, სარემონტო ქარხნის საქმეზე ცეხთან დადებულ ხელშეკრულების მიხედვით 1932 წლის მე-4 კვარტალის გეგმა შეასრულა 175 პროც.

სურათზე— ბრიგადის მეთაური ამხ. თოფურია.

ტრამვაის სახელოსნოების, სარემონტო ცეხის ამხ. სულაძის ბრიგადამ სტალინის სახელობის ქარხნის საქმეზე ცეხის გამოწვეული პირველი ხუთწლედის ... გეგმა შეასრულა 115 პროც.



სურათზე: ამხ. სულაძის დამკვრელი ბრიგადა ტრამვაის ვაგონის, მოტორის კაპიტალურ რემონტზე მუშაობის დროს.

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის საქმეზე ცეხის გამოწვევით თბ. ტრამვაის სახელოსნოების სალესზე-ელექტრომონტიორთა ცეხმა თავის თავზე მიიღო მთელი რიგი ვალდებულებები, რომლებიც ცეხმა სრულად 100 პროც. შეასრულა.



სურათზე—სალესზე ცეხის დამკვრელი კომკავშირელი ამხ. თოფურიაშვილი, რომელმაც 1932 წლის მე-4 კვარტალის გეგმა შეასრულა 175 პროც.



[illegible] ლენინის ნიღაბი (ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი)

# ბელადის ხსოვნას

ღროშებს ვხრით
შენი ხსოვნის წინაშე,
მასწავლებელო,
და წინამძღოლო!
გფიცავთ,
თოლდუსაც დაიგრგვინებს ჩვენ:
„დიქტატურისთვის
უნდა ვიბრძოლოთ!
მიწები გლეხებს!
ქარხნები მუშებს!
ძალაუფლება
საბჭოთა ხელში!
გავანადგუროთ
მტერი პირქუში!
ცეცხლი ქალაქში!
ცეცხლი სოფელში!“...
ასე გრგვინავდი
და როგორც დროშა
ტყვის სიტყვაში
გვიძღოდა წინა!
ჩვენთან ერთადა
ბარიკადებზე,
გმირებთან გვერდით
შენი ყიჟინა!
ჩვენ გავიმარჯვეთ!
ძირფესვიანად
ავაყირავეთ
ქვეყანა ძველი!
და წითელ დროშას
ცეცხლის ხელებით
ზედ წავაწერეთ
შენი სახელი!
ეს სიტყვა,
დღესაც
ბულებს, რომ არხევს
და კოლონი-ალურ
ერთალებს მწყობრად, —
კაპიტალიზმის
ფუძეებს არყევს
და რაზმავს მასებს
შენ დაანდერძებულად!
შორს აღარ არის
ის დრო ნეტარი,
რომ ყველგან დაეცემა
ძირს კაპიტალი
და წითელ მსოფლიოში
მშრომელთა ჯარი
იყოს გზა-ხსნილი
თავისუფალი!
ჩვენ კი,
ბელადს,
ვით ერთი კაცი,
ფიცს ვდებთ
შენებრ მტკიცეს
და ურყევს, —
რომ კომპარტიის
მთლიანობისთვის
ვიბრძოლებთ!
შენს გზას
არ გადავუხვევთ!

ვ. ჭარიშვილი

# ლენინით, ლენინის დროშით

გავიდა ცხრა წელიწადი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების დღიდან. ვლადიმირ ილიჩმა, რომელიც რევოლუციონურ ასპარეზზე გამოვიდა უსასტიკესი რეაქციისა და რუსეთის „ახალგაზრდა" კაპიტალიზმის მიერ, მუშათა კლასის უდიდესი ექსპლოატაციის წლებში, თავისი სიცოცხლის ოცდაათი წელი მთლიანად შესწირა მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლას, პროლეტარული რევოლუციის საქმეს.

უდიდესმა და უსაზღვრო ერთგულებამ მუშათა კლასის ბრძოლის საქმისადმი, ურყევმა რწმენამ პროლეტარიატის ძალებისა და აუცილებელი გამარჯვებისადმი, ულრმესმა კავშირმა მასებთან, განსაცვიფრებელმა უნარმა ყოველ პერიოდში გასაოცარი სიცხადით და სიმტკიცით ხელის ჩაკიდებისა „მორიგი რგოლისთვის", საკითხის დედააზრისთვის, შეურყევლობამ, ბოლშევიკურმა გადაუხრელობამ და მარქსისტული მეთოდის ბრწყინვალე გამოყენებამ ცოცხალი რევოლუციონური ბრძოლის პრაქტიკაში, ლენინი გახადეს რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე ავანგარდის არა მარტო ორგანიზატორად, არამედ ბელადადაც, პროლეტარული რევოლუციისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ბელადად. ლენინმა რევოლუციონური ბრძოლის ქარიშხალში აღზარდა ურყევი, ფოლადისებური მთლიანობით შედუღებული, ურყევი პრინციპებით დარაზმული „რევოლუციის რკინის კოჰორტა" — საკ. კ. პ. (ბ), რომელმაც ლენინური დროშის ქვეშ საბჭ. კავშირის მშრომელი მასები მიიყვანა უდიდეს გამარჯვებამდე სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ლენინში შეთავსებული იყო რევოლუციის ღრმა პრაქტიკოსის - ორგანიზატორის და უდიდესი მოაზროვნის, რევოლუციონურ თეორეტიკოსის თვისებები.



ვ. ი. ლენინი. მხატვარ ნატან ალტმანის ნახატი.

ძლიერება ლენინის, როგორც უდიდეს რევოლუციონერი პრაქტიკოსის და მარქსიზმის თეორეტიკოსის, მდგომარეობს იმაში, რომ მან, მშრომელი მასების ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკა გადაჰქონდა კლასობრივი ბრძოლის ენაზე, რევოლუციონურ ბრძოლას სოციალიზმისათვის აშუქებდა რევოლუციონური თეორიით — მარქსიზმით და რევოლუციონურ თეორიას მთლიანად ჰკვებავდა კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებით, მებრძოლი პროლეტარიატის რევოლუციონური პრაქტიკით. თეორიის და პრაქტიკის განუყოფელი კავშირისათვის ბრძოლასთან ერთად ვ. ი. ლენინმა კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში მარქსიზმის თეორია აქცია პროლეტარული მოძრაობისა და პროლეტარული რევოლუციის უდიდეს ძალად. ამიტომ „ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და პრაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და პრაქტიკა განსაკუთრებით", **(ი. სტალინი)**. ლენინიზმი, როგორც მარქსიზმის პირდაპირი გაგრძელება, როგორც სოციალიზმისათვის მებრძოლი პროლეტარიატის თეორიას, ჰკვებავს პროლეტარიატის ბრძოლის გამოცდილება.

ლენინიზმი მთლიანად გამსჭვალულია რევოლუციონური თეორიისა და რევოლუციონურ პრაქტიკის ერთიანობით. ლენინიზმი სწორედ იმიტომ გადაიქცა პროლეტარული მოძრაობის უდიდეს ძალად, რომ ის იზრდებოდა, ყალიბდებოდა კლასობრივი ბრძოლის პირობებში, უშუალო რევოლუციონური პრაქტიკის პირობებში.

რუსეთის პროლეტარიატის ძლევამოსილი ბრძოლები კაპიტალიზმთან, რომლებიც დამთავრდა ოქტომბრის რევოლუციით — მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის წინამორბედი, გამოუვალი ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში და კლასობრივი ბრძოლების ზრდა და გამწვავება, მუშათა მასების დარაზმვა კომინტერნის დროშების ქვეშ, სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამარჯვებები საბჭოთა კავშირში — ყველაფერი ეს წარმოადგენს ლენინიზმის — როგორც მუშათა კლასის ბასრი რევოლუციონური იარაღის დიად ისტორიულ გამოცდას. მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სრული დანგრევის პირობებში, ლენინმა გენიალურად განჭვრიტა სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული გზები. უკეთებდა რა ჯამს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ



სახლი გორკაში, სადაც გარდაიცვალა ლენინი.

წელს, ლენინი ამბობდა: „ნეპის რუსეთი გახდება სოციალისტური რუსეთად"-ო. ლენინის ამ სიტყვებში გამოხატულია ლენინის ურყევი რწმენა სოციალიზმის აუცილებელ გამარჯვებისადმი, არამედ აგრეთვე გენიალურად არის მოხაზული მთელი გეგმა სოციალისტური მშენებლობისა, მოცემული ლენინის მიერ: ელექტროფიკაცია, მსხვილი მანქანათმშენებლობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და სოციალისტური მრეწველობის განვითარების საშუალებით მძლავრი ტეხნიკური ბაზის შექმნა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

ეს გეგმა, ხორცშესხმული პირველ ხუთწლიან გეგმაში,—მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებით და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციით, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით და ლენინის საუკეთესო მოწაფის — სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებების ორგანიზატორის — ამხ. სტალინის მეთაურობით უდიდესი წარმატებით შეასრულა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა.

ლენინის ანდერძის შესრულების ნიშნის ქვეშ პარტიამ ათასგვარ სიძნელეთა გადალახვით, მტრული გარემოცვის და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, შეურიგებელი ბრძოლით მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, კულაკობის და მშრომელთა ყველა სხვა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი მიიყვანა უდიდეს გამარჯვებამდე სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. აგებულია მრავალრიცხოვანი სამრეწველო და ენერგეტიული გიგანტები, სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ მიიღო 150,000 ტრაქტორი, რამდენიმე ათასი კომბაინი და სხვა რთული სასოფლო სამეურნეო მანქანა. ომის წინადროინდელი დონე შორს არის მიტოვებული უკან მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც. ომისწინადროინდელი მასშტაბები ჩვენთვის უკვე დიდი ხანია ვიწრო შეიქნა. მთელ რიგ სამეურნიო მაჩინებობის მიხედვით ჩვენ არა თუ ჩავდექით ტეხნიკურად და ეკონომიურად მოწინავე ქვეყნების რიგში, არამედ კიდეც გავუსწარით მათ (ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტორფი და სხვ.).

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში შენდება სოციალიზმი, კაპიტალისტური მსოფლიო მიექანება უფსკრულისაკენ. იქ უმუშევართა არმია უკვე აიწია ას მილიონამდე, ამდე-



ვ. ი. ლენინის სამუშაო მაგიდა.

ა. [illegible]

# საბჭოთა კავშირის ათი წლისთავი

10 წლის წინ საბჭოთა ქვეყანა, შინაურ თეთრგვარდიელთა კონტრ-რევოლუციონური ძალების განადგურე ბისა და თავისი ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის ინტერვენტების ურდოების გარეკვის შემდეგ, შეუდგა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას და მთელი თავისი ძალები გადაიტანა სამეურნეო მშენებლობაზე და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაზე.

ომის შემდეგ გაჩერებული მრეწველობა, გაჩერებული ქარხნები, დანგრეული საწარმოო ძალები და ამოწურული სამეურნეო რესურსები შეუძლებლად ხდიდენ სახალხო მეურნეობის აღდგენას საბჭოთა რესპუბლიკების პირობებში და მოითხოვდნენ მათ გაერთიანებას ერთ სახელმწიფოში.

საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობა ომის შემდეგ და ახალი თავდასხმების, ახალი ინტერვენციის საფრთხე აუცილებლად ხდიდენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე და მოითხოვდენ მათი ღონისძიებების გაერთიანებას ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისათვის, მოითხოვდნენ ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნას. ამასთან ერთად, სტრუქტურას საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც ინტერნაციონალურია თავისი ბუნებით, საბჭ. რესპუბლიკების მშრომელი მასები მიჰყავდა გზით გაერთიანებისა ერთიან საკავშირო სახელმწიფოში.

ხელშეკრულება რსფსრ, უსსრ, ბსსრ და ა.-კ. სსრ (საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი) მიერ, სრული თანხმობით ამ ხალხების მისწრაფებებთან ერთიან საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანებისაკენ — სსრ კავშირი და დამტკიცებული 1922 30 დეკემბერს, წარმოადგენს ერთიანი პროლეტარული სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობის დიად დასაწყისს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით საბჭოთა კავშირის ხალხები მიზნად ისახავდნენ ისეთი ერთიანი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ყველა ეროვნებათა მშრომელი მასების თვითმოქმედების საფუძველზე პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შესძლებდა, როგორც საგარეო უშიშროების, ისე შინაური სამეურნეო აღორძინების და ხალხთა თავისუფალი ნაციონალური განვითარების უზრუნველყოფას.

სსრ კავშირის 10 წლის ისტორია საესებით ცხადათ და სიცხადით ადასტურებს, რომ ეს იმედები, რომელთაც საბჭოთა კავშირის ხალხები ამყარებდნენ სსრ კავშირზე, მთლიანად გამართლდა.

სსრ კავშირი წარმოადგენს თანასწორუფლებიან ხალხების ნებაყოფლობითი გაერთიანებას, ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში საძირკველ ჩაყრილს ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების და ძმური თანამშრომლობის ლენინურ დაგეგმვებს და იმ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ამომწურავად არის მოცემული რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში, ხელმოწერილები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1917 წ. დეკემბერში.

ეს საფუძვლები, რომლებიც მდგომარეობენ: 1) რუსეთის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და სუვერენობაში; 2) რუსეთის ხალხთა უფლებაში თავისუფალ თვითგამორკვევაზე, თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნამდე; 3) ყოველ და ყოველგვარ ნაციონალურ და ნაციონალურ - სარწმუნოებრივ პრივილეგიებისა და შეზღუდვათა გაუქმება; 4) ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალ განვითარებაში, — გადაუხრელად ტარდებოდა და ტარდება ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ხალხთა ძმური თანამშრომლობა ამ ათი წლის განმავლობაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა და დღეისათვის სსრ კავშირში შემოვიდა კიდევ სამი მოკავშირე რესპუბლიკა — უზბეკისტანი, თურქმენისტანი და ტაჯიკისტანი.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ამ 10 წლის განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებმა მიაღწიეს ნაციონალური კულტურების აყვავებას.

ავტონომიური რესპუბლიკების რაოდენობა ამ წლების განმავლობაში გაიზარდა 19-მდე, ავტონომიური ოლქების — 17-მდე. ნაციონალურ უმცირესობათა მომსახურების უდიდესად გაშლის შედეგად ამ წლების განმავლობაში ახლად მოეწყო 10 ნაციონალური მხარე, 2500 ნაციონალური რაიონი და 5.300 ნაციონალური სასოფლო საბჭო.

დღეს, სსრ კავშირის 10 წლის თავზე, იქ, კაპიტალიზმის ბანაკში, უსაშინლესი კრიზისის ზეგავლენით კიდევ უფრო გაძლიერდა ნაციონალური ჩაგვრა, ნაციონალური დამონება, კიდევ უფრო ულმობელი გახდა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხების ექსპლოატაცია. სავსებით გამართლდა დეკლარაციის სიტყვები იმის შესახებ, რომ „იქ, კაპიტალიზმის ბანაკში — ნაციონალური მტრობა და უთანასწორობა, კოლონიალური ჩაგვრა, პოგრომები, იმპერიალისტური მხეცობა და ომები". ასევე მთლიანად მართლდება დეკლარაციის მითითებები იმაზე, რომ „აქ, სოციალიზმის ბანაკში — ხალხთა ურთიერთ ნდობა და მშვიდობიანობა, ნაციონალური თავისუფლება და თანასწორობა, მშვიდობიანი თანა-

---

ნიეეა ნაწილობრივ მომუშავეთა რიცხვი; მთელ ამ კოლონიალურ ნაწილს კაცობრიობისა უხდება ახოვრება უსაშინელეს პირობებში, რომლებიც მას აყენებენ გაღარიბების და გადაგვარების, მასიური დაავადების, ამოჟლეტისა და თვითმკვლელობის გზაზე. მთელი რიგი მსოფლიო სამრეწველო ცენტრები დამბლადაცემულია, სხვები — სულს ღაფავენ, საერთაშორისო ეკონომიური კავშირი დაგლეჯილია, მწვავდება კაპიტალიზმის საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი.

კაპიტალისტურ სამყაროს ამ საყოველთაო ნგრევის ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინოა საბჭოთა კავშირის სოციალისტური წარმატება.

ჩვენ გადავედით მეორე ხუთწლედში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების ხუთწლედში.

პარტია ნაცადი ლენინური დროშით, ლენინურ ცეკას და ლენინის საქმის გამგრძელებლის — ამხ. სტალინის მეთაურობით, სასტიკი ბრძოლით ყველა იმათგან, ვინც შეეცდება ლენინის მიერ დასახული გზიდან გადაგვახვევინოს პარტიის მემარჯვენე ოპორტუნისტული პოლიტიკით ან „მემარცხენე" ბრჭყვიალა ფრაზებით, მიიყვანს მუშათა კლასს ახალ ბრწყინვალე გამარჯვებამდე უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების საქმეში. რომლის გაშლილი პროგრამა დასახა საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. და ც.კ.კ. უკანასკნელმა ისტორიულმა პლენუმმა.

მ. რ—ძე




დოკუმენტი ხელმოწერილი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის სრულუფლებიანი წარმომადგენლების მიერ 1922 წ. 30 დეკემბერს




საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეები

ზევიდან—გ. პეტროვსკი, გ. მუსაბეკოვი, ნუსრატულა მახსუმ. შუაში— მ. ი. კალინინი.
ქვევით—ნ. აიტაკოვი, ფაიზულა ხოჯაევი, ა. გ. ჩერვიაკოვი.

**ცხოვრება და ძმური თანამშრომლობა".**

განვლილი 10 წლის მანძილზე სსრ კავშირის მშრომელმა მასებმა პროლეტარიატის მეთაურობით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და თავისი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებაში.

10 წლის წინ — 1922 წლის 30 დეკემბერს — 1-ლ საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე მომხსენებელი ახალი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის შესახებ ამხ. **სტალინი** ამბობდა:

„დღეს დღევანდელმა საბჭოთა ყრილობამ, რომელიც მოწოდებულია დაამტკიცოს დეკლარაცია და ხელშეკრულება რესპუბლიკების კავშირის შესახებ, მიღებული გუშინ სრულუფლებიან დელეგაციების კონფერენციის მიერ, დე ამ ყრილობამ დაანახვოს ყველა იმათ, ვისაც არ დაუკარგავს გაგების უნარი, რომ **კომუნისტებს ისევე კარგად შეუძლიათ ახლის აგება, როგორც კარგად იცოდნენ მათ ძველის დანგრევა".**

დღევანდელი საიუბილეო დღისათვის მთელი მსოფლიო არის ს. ს. რ. კავშირში გაშლილი დიადი სოციალისტური მშენებლობის, მისი გრანდიოზული წარმატებების მოწმე.

**მაშინ,** 10 წლის წინ, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ იწყებდა თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენას; ფაბრიკები, ქარხნები უმოქმედოთ იდგნენ. მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა 1,9 მილიარდ მანეთს, ანუ ომის წინადროინდელი პროდუქციის 22 პროცენტს.

**ახლა,** 1932 წელში, მრეწველობის საერთო პროდუქცია გეგმით შეადგენს 37,5 მილიარდს, ომის წინადროინდელი დონის 300 პროც.-ზე მეტს, ამასთან ერთად „ა" ჯგუფის, ე. ი. მძიმე მრეწველობის დარგში მისი ზრდა შეადგენს 400 პროც.-ღე.

**მაშინ** იდგა მრეწველობის ძველი ძირითადი კაპიტალის გამოყენების და აღდგენის ამოცანა.

**ახლა,** 10 წლის შემდეგ, შევიდნენ მწყობრში მრეწველობის მსოფლიო გიგანტები — დნეპრის კომბინატი, მაგნიტოგორსკი, ურალ-კუზნეცკის კომბინატი, ხარკოვისა და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნები, გორკის, მოსკოვის და იაროსლავის ავტოქარხნები, ასეული ახალი შახტები, მარტენები და მთელი რიგი დიდი ქარხნები, შექმნილია ახალი ინდუსტრიალური რაიონები და აგებულია ახალი ქალაქები, გაყვანილია ახალი რკინიგზები და გზატკეცილები, მოეწყო უზარმაზარი საბჭოთა მეურნეობები და სხვ.

**ახლა,** 10 წლის შემდეგ, მძიმე მრეწველობა მტკიცედ არის დაყენებული ფეხზე და ამით შექმნილია საკუთარი ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დასამთავრებლად, მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის საძირკველი.

**მაშინ** მხოლოდ იწყებოდა გაპარტახებული სასოფლო მეურნეობის აღდგენა და ნათესების ფართობი შეადგენდა ომის წინადროინდელ დონის მხოლოდ 60 პროცენტს.

**ახლა,** სულ 10 წლის შემდეგ, ნათესების ფართობი უდრის 135 მილიონ ჰექტარს და ის ომის წინა-



**ამხ. აბელ ენუქიძე**

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი. დაჯილდოებული ლენინის ორდენით განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრკ შექმნაში და 10 წლის განუწყვეტელი მუშაობისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისა ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხების თანასწორობის განმტკიცებისათვის.

დროინდელ დონეს 30 მილიონ ჰექტარით აღემატება.

დღეს, ს. ს. რ. კავშირის 10 წლის თავისთვის, გაბატონებული მდგომარეობა სასოფლო მეურნეობაში დაიკავა სოციალისტურმა ფორმებმა — საბჭოთა და კოლექტიურმა მეურნეობებმა. საბჭოთა კავშირი წვრილი და უწვრილესი მიწადმოქმედების ქვეყნიდან გადაიქცა ყველაზე მსხვილი მიწადმოქმედების ქვეყნად კოლექტივიზაციის და საბჭოთა მეურნეობების საფუძველზე, სამანქანო ტექნიკის ფართოდ გამოყენების საფუძველზე. 148 ათასი ტრაქტორი მუშაობს საბჭოთა მინდვრებზე, მარტო 1932 წ. იქნა გამოშვებული 470 მილიონ მანეთის სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. შექმნილია 2.115 სამანქანო - სატრაქტორო სადგური.

**მაშინ** სახელმწიფო ბიუჯეტი უდრიდა 2.317 მილიონ მანეთს, ახლა კი, 10 წლის შემდეგ, იგი შეადგენს 27.451 მილიონ მანეთს (1932 წ.); რაც მოწმობს ქვეყნის საწარმოო ძალების შეუჩერებელ ზრდას.

**მაშინ** — აღდგენითი პერიოდის დასაწყისი.

**ახლა,** 10 წლის შემდეგ, წარმატებით შესრულებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ხუთწლედის ძირითადად შესრულება 4 წელიწადში, სოციალიზმის საძირკვლის დამთავრება ს. ს. რ. კავშირში.

ს. ს. რ. კავშირის 10 წლის თავზე კოჭბვა „ვის—ვის" გადაჭრილია კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის სასარგებლოდ, მთლიანად და საბოლოოდ ქალაქადაც და სოფლადაც.

საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ხალხების გაერთიანებული ღონისძიებებით განმტკიცებულია ჩვენი მუშურ - გლეხური წითელი არმიაც, რომელიც არის არა მარტო ს. ს. რ. კავშირის საზღვრების ღირსეული, ძლევამოსილი და მრისხანე გუშაგი, არამედ აგრეთვე უდიდესი ფაქტორიც მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში.

ს. ს. რ. კავშირი გადაიქცა ისეთ სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომ ყველა კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მას და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკაში სრულიად უდაო არის.

ამ ათი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა და ყველა მშრომელებმა შესძლეს ფაქტებზე დარწმუნებულიყვნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი არის ყველა ქვეყნების მშრომელთა, მთელი მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ხალხთა სამშობლო, ნამდვილი წინამორბედი მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა.

საბჭოთა კავშირის განვითარების 10 წლის ისტორია ნათელჰყოფს, რომ მეურნეობისა და კულტურის საერთო ძლიერი ზრდის პირობებში კიდევ უფრო მაღალია ზრდა სამეურნეო და კულტურული განვითარებისა უზრუნველყოფილია მეფის რუსეთის ყოფ. კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ხალხებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიურად და კულტურულად მოწინავე ერები, ხელს უწყობენ განვითარებაში ჩამორჩენილ ერებს, იმ დროს, როცა კაპი-

ტალიზმის ქვეყნებში ეკონომიური ქაოსი და კულტურულად ჩამორჩენილი ერები განიცდიან დამონებას, და ძარცვას უფრო ძლიერი ერების მხრივ.

კულტურულად მოწინავე და ეკონომიურად ძლიერ ერებთან დახმარების წყალობით შეიქმნა ახალი მრეწველობა ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, ამ დახმარების, ერთიერთ დახმარებისა და ძმური თანამშრომლობის შედეგად ნაციონალური რესპუბლიკები და ოლქები დაიფარა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა კულტურული დაწესებულებების ფართო ქსელით. ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების სამეურნეო და კულტურული განვითარება ამ 10 წლის განმავლობაში მიდიოდა უფრო სწრაფად, ვიდრე მშენებლობა საბჭოთა კავშირში საერთოდ.

ს. ს. რ. კავშირის ისტორია — ეს არის მშრომელი მასების უსახელოვანეს გამარჯვებათა ისტორია. ყველა ეს გამარჯვებები და წარმატებები, საბჭოთა კავშირის განმტკიცებისა და განვითარების დარგში შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ ქვეყნის მთელი პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების სწორი ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიისა და მის ლენინურ ცეკას მხრივ ამხ. **სტალინის** მეთაურობით.

ს. ს. რ. კავშირის 10 წლის თავი შესრულდა ორი ხუთწლედის მიჯნაზე. უკან მოვიტოვეთ გზა, გავლილი უდიდეს სიძნელეთა დაძლევით, მაგრამ გზა, რომელმაც მიგვიყვანა უდიდეს გამარჯვებამდე სოციალიზმის მშენებლობაში. წინ არის ახალი ისტორიული ამოცანები უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების დარგში.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მუშათა კლასისა, მშრომელი გლეხობის, სამეცნიერო მუშაკების, ტეხნიკური ინტელიგენციის, ყველა ძველი და ახალი კადრების წინაშე, რომლებიც აწარმოებენ გმირულ ბრძოლას საწარმოო, სამეცნიერო - საგამოკვლევო და კულტურულ ფრონტზე, დასმულია ამოცანა —კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწიონ ს. ს. რ. კავშირის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მიაღწიონ ყველა მშრომელთა მატერიალური დონის კიდევ უფრო ამაღლებას, აღმოფხვრან ყველა სიძნელეები და ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენ გვაქვს.

ჩვენი გამოცდილება გმირული მუშაობისა და დაუღალავი ბრძოლისა სოციალისტური საზოგადოების აგებით, რომელშიაც „თითოეულის თავისუფალი განვითარება იქნება ყველასი თავისუფალი განვითარების პირობა" („კომუნისტური მანიფესტი"), მტკიცდება ამ დაკავშირებული ბრძოლის ფაქტებით, რომელსაც განწირული კაპიტალისტური კლასები აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ახლანდელი მდგომარეობა კაპიტალისტურ მსოფლიოში, რომელიც ვერ ხედავს სხვა გამოსავალს იმ ეკონომიკური კრიზისიდან, რომლითაც შეპყრობილია იგი, გარდა ომებისა და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალით განადგურებისა, გარდა, ბაზრების და კოლონიების ხელახალი გადანაწილებისა, წარმოადგენს საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მუდმივ საფრთხეს.

მუშათა კლასს და გლეხობას და კავშირის მთელ მშრომელ მასებს უნდა ახსოვდეთ, რომ თუ იმპერიალისტები დღემდე არ დასხმიან თავს ჩვენს ქვეყანას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა შემჭიდროებული რიგებით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს უდიდესი სოციალისტური ინდუსტრია, რომელიც უზრუნველჰყოფს მსუბუქი მრეწველობის განვითარებას აგრეთვე სწრაფი ტემპებით და მსხვილი სოციალისტური სასოფლო მეურნეობა. მაშასადამე, ჩვენ მომავალშიაც უნდა ვაწარმოოთ უაღრესად ენერგიული ბრძოლა მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, განსაკუთრებით საწარმოო საშუალებათა დამამზადებელ მრეწველობის განვითარებისათვის, რომლის წარმატებით განვითარება არის საწინდარი საბჭოთა კავშირის სრული განთავისუფლებისა უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან, აგრეთვე ჩვენი თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისა და ჩვენი სასოფლო მეურნეობის ახლად შეიარაღების საწინდარი.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მისი მექანიზაციისა და მაშინიზაციისათვის მომავალშიაც ბრძოლით, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მუშაკებმა, საშუალო და ღარიბმა ინდივიდუალურმა გლეხებმა ყოველმხრივ უნდა გაადიდონ საპურე მინდვრების მოსავლიანობა, კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დაძლევით, უზრუნველჰყონ ნედლეულით სოციალისტური მრეწველობა, განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს სასურსათო ბაზა.

პროლეტარულ სახელმწიფოს ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს მიღწევები კულტურული მშენებლობის დარგში. მუშებმა, გლეხებმა, და ქვეყნის ყველა მშრომელებმა კიდევ უფრო აქტიურად უნდა იბრძოლონ კულტურული რევოლუციის შემდგომი გაშლისათვის, იბრძოლონ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული მოსპობისა და მოზარდ ბავშვების ჩაბმისათვის სკოლებში. საჭიროა კიდევ უფრო იქნას გაძლიერებული ჩვენი ყურადღება წინათ ჩამორჩენილი ხალხების კულტურული ჩამორჩენის სასწრაფოდ ლიკვიდაციის ამოცანებისადმი, აგრეთვე ჩამორჩენილი საოჯახო მეურნეობის ლიკვიდაციის დაჩქარების, მისგან მშრომელი ქალის განთავისუფლების და მისი წარმოებაში, სახელმწიფო მშენებლობაში და მმართველობაში კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმის ამოცანებისადმი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის და განათლების შემდგომი ზრდა, განსაკუთრებით—წარსულში ჩაგრული ხალხების კულტურული ჩამორჩენის ლიკვიდაცია წარმოადგენს სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ახალი უდიდესი გამარჯვებების საწინდარს, ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების ლიკვიდაციის საწინდარს.

მაგრამ საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ „სოციალიზმის ახალ წარმატებებს მუშათა კლასი უზრუნველჰყოფს მხოლოდ ბრძოლით, კაპიტალიზმის ნაშთებთან, ულმობელი პასუხის გაცემით დასალუპავად განწირულ კაპიტალისტური კლასების წინააღმდეგობისათვის, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობის დაძლევით მშრომელთა შორის და დაუღალავი მუშაობის წარმოებით მათი სოციალისტური აღზრდისათვის" (XVII პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან).



სამეცნიერო მუშაობა ტრანსპორტზე

სურათზე — ლითონის გამძლეობის გამოცდა

რულ ჩარხებიდან, მცირე სიმძლავრის მქონე ორთქლმავლებიდან, არამედ უზარმაზარ ორთქლის ქვაბებიდან, ბლუმინგებიდან, ორთქლის ტურბინებიდან, დიზელებიდან, ტრაქტორებიდან, კომბაინებიდან, ავტომობილებიდან; ელექტრომავლებიდან და მძლავრი ორთქლმავლებიდან, მრავალთასტონიან გემებიდან და თბომავლებიდან, ბურთულა საკისრებიდან უზუსტესი ლაბორატორიული ხელსაწყოებიდან, ნავთის მრეწველობის მოწყობილობიდან, რომელთა წარმოება დაყენებულია მხოლოდ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, ყველაფერი ეს მზადდება საბჭოთა მასალებიდან, საბჭოთა ინჟინერ-ტეხნიკოსების და მუშების ხელით.

ქვემოთ მოკლედ მოგვყავს ძირითად ახალ წარმოებათა სია, რომლებიც მოეწყო საბჭოთა კავშირში.

„24 და 50 ათასი კვტ. სიმძლავრის ორთქლის ტურბინები, სხვადასხვა სიმძლავრის წყლის ტურბინები, კონდენსატორები ტურბინებისათვის, მაღალი წნევის და უდიდი მეტრაჟის ქვაბები.

ამიაკის კომპრესორების, ლინდეს აორთქლებლების, კონდენსატორების წარმოება.

...თვითგამტვირთავი ვაგონები, ოთხღერძიანი ცისტერნები, იზომეტრული ვაგონები, გრძელი სამგზავრო ვაგონები,

...ახალი მძლავრი კონსტრუქციის ორთქლმავლები მაღალი მოქმედების კოეფიციენტით;

...სამთო-მადნო და მეტალურგიულ მრეწველობაში: ოტისის გადამტანი მანქანები, ბრონზიერის „ზარბაზანი", საცეცი მანქანები, მძლავრი ამწევი მანქანები, ელექტრომავლები, კოქსინგების მოწყობილობა, საბურღავი მოწყობილობა და სხვ.

...საფეიქრო მანქანათმშენებლობაში: შვინგტურბინები, დეკორატიზატორები, ბამბის სარევი მანქანები, სელისა და შერთვის ვატერები, საშრობი მოწყობილობა.

საგზაო მანქანათმშენებლობაში: გრეიდერები, სატრაქტორო ნიჩბები და სხვ.

პურის ქარხნების მოწყობილობაში: ავტომატიური ღუმელები, ცომის საზელავი მანქანები და სხვ.

ელექტროტეხნიკაში: ელექტრო-ამწევი მანქანები, გამწევი მოტორები, მაღალვოლტიანი ტრანსფორმატორები; 12, 25 და 50 ათასკვტ-იანი ტურბოგენერატორები, ჰიდროგენერატორები.

სუსტი დენის მრეწველობაში: ახალი კონსტრუქციის ტელეფონის აპარატები, კომუტატორები, ავტომატიური ტელეფონის სადგურები, მთვლელები, ლამპიანი მიმღები აპარატები, გამაძლიერებელი კატოდის ლამპები, მძლავრი გენერატორული ლამპები.

აგებულია, მოწყობილია და სწარმოებს გამოშვება მანქანებისა სატრიკოტაჟო, ფეხსაცმელების და თამბაქოს მრეწველობისათვის.

დამზადებულია ახალი სახის მოწყობილობა ქიმიური მრეწველობისათვის", („ჩა ინდუსტრიალიზაციუ"-დან).

ცალკე შევჩერდებით სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაზე.

მაგრამ ამ მოკლე ჩამოთვლითაც არ ამოიწურება ჩვენი მიღწევები საწარმოო საშუალებათა წარმოების დარგში. სურათი არ იქნებოდა სრული, რომ გაკვრით მაინც არ აღგვენიშნა ის ფართო გაშლა მუშათა გამომგონებლობის და მეცნიერული კვლევა-ძიებისა ახალი მანქანებისა და მოწყობილობის შექმნის დარგში, რომლის წყალობითაც „რაღაც ოთხიოდე წლის განმავლობაში ჩვენ დავეუფლეთ ათასეულ სრულიად ახალ წარმოებებს: გიგანტურ თბომავლებიდან ჯიბის საათებამდე, ელექტრომავლებიდან ბურთულა საკისრებამდე, ფოტონადენობებიდან რენტგენის აპარატებამდე" („პრავდა").

„უკანასკნელი წლების განმავლობაში უფრო და უფრო ხშირად გვაქვს ჩვენი ინჟინერების და მუშების ორიგინალური კონსტრუქციის მანქანები. საბჭოთა კონსტრუქტორული მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშებია: იჟორის ქარხნის ბლუმინგი, კ. მარქსის და მაქს ჰელცის ქარხნების კონსტრუქტორული შრომები, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და მოწყობილობის საკავშირო ინსტიტუტის კონსტრუქტორული შრომები, „ი. ს."-სერიის ორთქლმავალი და სხვ." („ზ. ი.").

## სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო ცხოვრების სრულ დაცემასთან ერთად მძაფრი აგრარული კრიზისიც არის გამეფებული, საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი სოციალისტური სასოფლო მეურნეობის ქვეყნად.

ის უდიდესი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში შეუძლებელი იქნებოდა კოლექტივიზაციისათვის სათანადო ტეხნიკური ბაზის შექმნის გარეშე. აქ ჩვენ გვიხდებოდა ყველაფრის თავიდან დაწყება, რადგან არავითარი ნიშანწყალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებისა რუსეთში არ სწარმოებდა.

რა მივეცით ჩვენ სოფელს?

— ტრაქტორები, კომბაინები, ჩაის მოსაკრეფი მანქანა, მზესუმზირის ამკრეფი კომბაინი, ნერგების გადამრგავი მანქანა და მრავალი სხვ.

1932 წლისათვის უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული ლენინის ოცნება 100.000 ტრაქტორის მიცემის შესახებ სოფლის მეურნეობისათვის. მიმდინარე წლის სოფლის მეურნეობისთვის მიცემული ტრაქტორები, როგორც სატრაქტორო გიგანტების—სტალინგრადის და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნების აგების წყალობით უკვე 175.000 ათას ცხენის ძალას აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრაქტორების სახით ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ მიიღო 3 მილიონამდე ცხ. ძალის ენერგია.

ტრაქტორების მშენებლობის დარგში ჩვენ უკვე გადავუსწარით შეერთებულ შტატებს:

| | 1929 წ. | 1930 წ. | 1931 წ. | 1932 წ. |
|---|---|---|---|---|
| საბჭ. კავშირი | 3.257 | 14.250 | 38.093 | 50.350 |
| შეერთ. შტ. | 229.000 | 202.000 | 80.000 | 50.000 |

კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება ტრაქტორების მშენებლობა ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის ამუშავების შემდეგ (10.000 ტრაქტორი პირველ წელში 40.000 ტრაქტორი წლიურად ქარხნის საპროექტო სიმძლავრის დაუფლების შემდეგ).

## საკუთარი ავტომობილი

საავტომობილო მრეწველობა რუსეთში მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობდა. ერთად ერთი საავტომობილო ქარხანა რიგაში პირველ წლებში უშვებდა მხოლოდ 10 მანქანას და 6 წლის განმავლობაში გამოუშვა მხოლოდ 451 მსუბუქი და 10 სატვირთო ავტომანქანა. 1915 წელს იგი უშვებს მხოლოდ 1 411 მანქანას.

1913 წ. რუსეთს მოეპოვებოდა: 7.30[illegible] მსუბუქი ავტომობილი, 1548—სატვირთო ავტომობილი და 165 ტრაქტორი. რომლებიც თითქმის მთლიანად უცხოეთიდან იყო შემოტანილი.

ომის დროს, მეფის მთავრობა შეეცადა რაღაც „გაეკეთებია" ამ დარგში, რასაკვირველია, უმთავრესად იმიტომ, რომ ცალკე მრეწველობისათვის სუბსიდიის სახით ჩაეგდო ხელში მილიონიანი ავანსები და ცხადია, მანქანების გამოშვებამდე საქმე არ მიდიოდა. ამრიგად ავტომშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირს არაფერი მიუღია მემკვიდრეობით.

1928 წლამდე ჩვენ გვაქვს საბჭოთა ავტომშენებლობის „მოსამზადებელი პერიოდი". საკუთარი მანქანების გამოშვება რამდენიმე ასეულს არ აღემატება წლიურად. 1928 წლიდან საბჭოთა ავტომშენებლობა ფართოდ იწყებს გაშლას ჯერ ძველი ქარხნების მოწყობილობის ავტომშენებლობისათვის გამოყენების და შემდეგ 1932 წლის იანვრიდან ნიჟეგოროდის (გორკის) საავტომობილო ქარხნის ამუშავების შედეგად (140.000 ავტომობილი წლიურად).

აი როგორ იზრდებოდა ჩვენი საავტომობილო ქარხნების პროდუქცია:

| | | |
|---|---|---|
| 1928-29 წ. | 1450 | ავტომობილი |
| 1929-30 წ. | 5888 | " |
| 1930 წ. განსაკ. კვარტალი | 3194 | " |
| 1931 წ. | 20577 | " |
| 1932 წ. | 26700 | " |

ამრიგად საბჭოთა კავშირი უკვე ჯდება საკუთარ ავტომობილზე.

## იცვლება საბჭოთა ქვეყნის სახე

იმის წინაშე, რაც კეთდება საბჭოთა კავშირში ფერმკრთალდება ყველაფერი, რაც კი ახსოვს მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის სამრეწველო განვითარების ისტორიას.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მაგალითებამდე სწრაფი სამეურნეო განვითარების კლასიკურ ქვეყნად ითვლებოდა შეერთებული შტატები, მაგრამ შეერთებულ შტატებს თითქმის 7 ათეული წელი მოუნდა დიდი სამოქალაქო ომის შემდეგ, რომ მსოფლიოს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების რიგში ჩამდგარიყო. საბჭოთა კავშირმა კი ეს გზა თითქმის გაიარა რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში უდიდესი სამეურნეო ტეხნიკური რევოლუციის შედეგად, რომელიც საბჭოთა კავშირში ხდება. სრულიად

იცვლება ჩვენი ქვეყნის სახე. იქ, სადაც წინად მხოლოდ მგლები ღმუოდნენ, სისინებდა სისხლის გამშრობელი ყინულიანი ქარი, იქ, სადაც გრიგალი აყენებდა მტვერის კორიანტელს, იქ სადაც ოდესღაც იყო მხოლოდ უღრანი ტყეები, სიბნელე, ჩამორჩენილობა და სიმწირე, დღეს იქმნება ახალი სამრეწველო ცენტრები, იქმნება ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანები, შენდება ახალი სოციალისტური ქალაქები.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით პოლარულ წრის იქით შექმნილ ახალ სამრეწველო ცენტრებზე, მხოლოდ მოკლედ გავაცნობთ მკითხველს ურალ-კუზნეცკის კომბინატს, შექმნილს ამხ. სტალინის ინიციატივით, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გმირული ღონისძიებებით იქ, სადაც „ოთხი წლის წინათ იყო მხოლოდ ცარიელი ველი, ტაიგა და მთები". ამ კომბინატის მშენებლობა გაშლილია 2.800 ათას კვ. კილომეტრის სივრცეზე, სადაც თავმოყრილია უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი: რკინის საკავშირო მარაგის 20 პროც., სპილენძის—90 პროც., ტყვიის—71 პროც., თუთიისა—94 პროც., ნახშირი—71 პროც. აქ არის ოქრო, პლატინა, ნიკელი, ალუმინი, ანთიმონი, მარგანეცი, ტიტანი, ბერილიუმი და სხვ. აქ არის ნავთის საბადოები.

აქ, ტერიტორიაზე, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა ყრუ ტაიგას, გადასახლების ადგილს, შექმნილია მეტალურგიული და სამანქანათმშენებლო გიგანტები: აქ არის მაგნიტოგორსკის კომბინატი (მეტალურგ. ქარხანა, კოქს-ქიმიური ქარხანა, ელსადგურები, მაღაროები; მაგნიტოგორსკის მარტო მეტალურგიული ქარხნის პროდუქცია ორჯერ გადააჭარბებს მთელი ურალის მეტალურგიის ომის წინადროინდელ პროდუქციას).

შემდეგ აქ არის სვერდლოვსკის სამანქანათმშენებლო გიგანტი, ექსკავატორების ქარხანა, ქიმიური მოწყობილობის ქარხანა.

შემდეგ—ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა (40.000 ტრაქტორი წლიურად).

ტაგილში შენდება მეტალურგიული გიგანტი—1.8 მილ. ტონა თუჯი წლიურად და ვაგონების სააღმშენებლო ქარხანა — 54.000 ვაგონი წლიურად.

შექმნილია მძლავრი ქიმმრეწველობა (ბერეზნიკი, სოლიკამსკის მაღარო).

შემდეგ—კრასნოურალის სპილენძის ქარხანა, პერმის ვერფი, ვიშერისა და კამის

ცოხე, ხაბაროვსკი, კატორღა და ცენტრა-
ლები ციმბირში იყო უფრო მეტი", ვიდრე ქალაქები.

საშინელი სიტყვა იყო „ციმბირი".

საშინელი იყო ეს ქვეყანა, რომელსაც ერთი კუთხიდან მეორემდე ჰკვეთავდა მხოლოდ ერთი რკინიგზა. ამ გზით ადამიანები მიდიოდნენ ისე, რომ ცდილობდნენ არ ეფიქრათ, თუ რა ელოდებათ შორს, გადაკარგულ ტყეებში.

ერთნი ციმბირს იგონებდნენ წყევლა-კრულვით და ტირილით. მეორენი ამ სიტყვას ამბობდნენ შიშით, მესამენი — შიშით, არავინ ლაპარაკობდა ციმბირზე სიყვარულით...

ძლიერი წყეული ქვეყნის, ველური განაპირა, გადასახლების გზაზე დაკარგული კუთხის სახით ხედავდა მემკვიდრეობით ბოლშევიკებს ციმბირი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს იყო არა მარტო ციმბირის ისტორიული ხვედრი.

**ვ. ი. ლენინი** წერილში „სასოფლო გადასახადის შესახებ" სწერდა:

„შევხედეთ რსფსრ რუკას, ვოლოგდიდან ჩრდილოეთით დონის როსტოვიდან და სარატოვიდან, სამხრეთ - აღმოსავლეთით, ორენბურგიდან და ომსკიდან სამხრეთით, ტომსკიდან ჩრდილოეთით გაჭიმულია თვალუწვდენელი სივრცეები, სადაც დაეტეოდა ათეული უზარმაზარი კულტურული სახელმწიფო. და მთელ ამ სივრცეებზე მეფობს პატრიარქალობა, ნახევრად ველურობა და ნამდვილი ველურობა. მთელი დანარჩენი რუსეთის მიყრუებულ სოფლებში? ყველგან, სადაც სოფლის შარაგზის — უფრო სწორად, რომ ვთქვათ, უგზოობის ათეული ვერსტი აშორებენ სოფელს რკინისგზებს, ე. ი. მატერიალურ კავშირს კულტურასთან, კაპიტალიზმთან, მსხვილ მრეწველობასთან, დიდ ქალაქთან, — განა ყველა ამ ადგილებში არ სჭარბობს იგივე პატრიარქალობა, ობლომოვშჩინა, ველურობა?..".

1913 წ. რუსეთში ამოღებული იქნა 36 მილიონი ტონა ქვანახშირი. აქედან მხოლოდ ორი მილიონი ტონა მოდიოდა ურალისა და ციმბირის მრეწველობაზე. მთელი დანარჩენი ნახშირი მიღებული იქნა დონბასისა და სამხრეთ-რუსეთის მაღაროებიდან. ასევე იყო თუჯის გამოდნობის მხრივაც.

ურალისა და ციმბირის ძველი ქარხნები გამოადნენ რუსეთის მთელი თუჯის მხოლოდ ერთ მეხუთედს, ოთხი მეხუთედი — სამხრეთის ქარხნებზე.

მეფის რუსეთის მთელი მრეწველობა ეყრდნობოდა დონბასის ქვანახშირს, სამხრეთის რკინის გზის მადნეულობას. იქ იზრდებოდა ახლები და უმჯობესდებოდა ძველი ქარხნები. აქ იქმნებოდა მუშებით დასახლებული ადგილები და ქალაქები, გაიყვანეს რკინიგზის ახალი შტოები. აქ მიდიოდა დაბანდება დიდის რუსეთის კაპიტალისმა, მართავდა მათ-მეფე, ეპატრონებოდა წიაღის სიმდიდრეებს, ბატონობდა, მრეწველებში და მარტო ურალში შენახვა სისხლის გადასახადით იყიდება ჯებირი მოგებული ოქროთი და დივიდენდებით.

ურალის ქვეყნის იქით, როგორც კი ადგურებით გასცილდებოდა ქვეყნის ბელადის წარწერით: „ურალ — ...", კაპიტალიზმი ილებდა თავის მძღნერ ბეჭედს, მუცელ, გადამძლავრი ყაჩაღის ბრჭყალებით, როგორც მონადირის ხელს ილებდა ყველაფერს, რაც კი ხელში ხვდებოდა. აქ ურალსა და ციმბირში, არც დრო ჰქონდათ და არც საჭიროდ სცნობდნენ ღრმა შახტების გათხრას, ქვანახშირის ფენების საფუძვლიანად დამუშავებას. აქ მეტალს თითქმის მთლიანად ხის ნახშირით ადნობდნენ. აქ გაუთავებლად სჭრიდნენ საუკეთესო ტყეებს და მიათრევდნენ ნახშირის ორმოებში. აქ არ აინტერესებდნენ მადნეულობას, არამედ იღებდნენ იმას, რაც თავისით ხვდებოდათ ხელში. იღებდნენ მხოლოდ იმას, რაც კი იყო საუკეთესო. დანარჩენს „ყრიდნენ". აქ სძარცვავდნენ, ჭამდნენ, მიათრევდნენ, სრესდნენ, ამახინჯებდნენ. სამწუხარო იყო იმდენი, რომ მორიდების ზედმეტად თვლიდნენ.

წარმოების ტექნიკა თითქმის არ უმჯობესდებოდა. ლითონის მოპოვება სწარმოებდა არა მანქანებით და აგრეგატებით, არამედ კაპიტალისტური ქარხნის კატორღულების სისხლით, ოფლით და ცრემლებით. აქ არ ზრუნავდნენ იმაზე, რომ აეგოთ ახალი საწარმოები ან გაეფართოებინათ ძველების მოწყობილობა. აქ ოქროს ავსებდნენ იაფი, თითქმის უფასო მუშახელები და ბუნებრივი სიმდიდრეები, რომელთაც მხოლოდ ილებდა სპეციალურად. აი ურალის ქარხნების ასაკის ნუსხა:

14—30 წლის წინ აგებული ქარხნები—4.
42—76 წლის წინ აგებული ქარხნები—7.
100—119 წ. წინ აგებული ქარხნები—3.
147—150 წ. წინ აგებული ქარხნები—6.
152—200 წ. წინ აგებული ქარხნები—33.

ნიკოლოზ მეორის დროს აქ მუშაობდნენ პეტრე დიდის დროის კორპუსებში და მოწყობილობით.

ბუქარის დაწყებითი სასწავლებლის სახელმძღვანელო დარბაზის ძველ რუკაზე სწორედ ყველაფერი ეს იყო გამოსახული. შორეული, გაუვალი, ბინძური, მძლავრი მხეცებს ეპყრო რუსეთის იმპერიის განაპირა კუთხეები. აქ თარეშობდნენ გაუმაძღარი მხეცები; ისინი ერთმანეთს ღრღნიდნენ ყველს ზედმეტი მოგებისა და სარგებლობისათვის, ისინი ბრჭყალებით ფხეკდნენ დედამიწის ქერქს და სვამდნენ მის სისხლს, ოქროქლიავდავარული წვერების ლოკვით, დამონებულად, ავადმყოფობისა და სილატაკისაგან გადაგვარების გზაზე დამდგარი ცხოვრობდნენ ამ მიწის პატრონები.

ისტორიამ ბოროტი ხუმრობა მოუწყო რუსეთის იმპერიას. მან რომანოვთა სამეფო სახლი გრძელი სამასწლიანი გზით — იპატიევის მონასტრის საკურთხევლიდან მიიყვანა იპატიევის სახლის სარდაფამდე. იპატიევის მონასტრის ალაყაფის კარებთან შეხვდნენ „გვირგვინით და სამეფო საჩუქრით" მიღებული მეფე რომანოვების გვარეულობიდან, უკანასკნელი მეფე დახვრიტეს ურალის მუშებმა ეკატერინ-იპატიევის სახლის სარდაფში, იმ ურალის გულში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მეფის ზარაფხანას, ციხეს და კატორღის შემოსავლისათვის.

რუსეთის კაპიტალიზმის უკანასკნელი მედროშე, სამეფო გვარეულობის უკანასკნელი რაინდი ა. ვ. კოლჩაკი ურალის მუშების და ციმბირის გლეხების რევოლუციონური ტრიბუნალის დადგენილებით დახვრეტილ იქნა ციმბირის თოვლში.

სწორედ ის ბოლშევიკები, რომლებიც ლპებოდნენ ციმბირის ციხეებში, დაბრუნდნენ ციმბირში წითელ არმიის სათავეებში. მოხდა, რომ ისინი, რომელთაც ადამიანებადაც კი არ თვლიდნენ, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ ერთი თავისუფალი უფლება — სიკვდილი



# „ქართლის ცხოვრების“ ახალი ფურცელი

დილა იწყებოდა. ქართლის ველებზე ბინდი იდგა. შიდამის ფართოდ გადაშლილ მკერდი და მზეც უხვად აფრქვევდა გავარვარებულ მიწას სხივების ჩანჩქერს. ირგვლივ მომწიფებულ პურის ყანები ტრიალებდა. სადღაც შორიახლოს მტკვარი მიდუდუნებდა და გრილ ნიავს ისტუმრებდა ტანაყრილ ყანებისაკენ.

მზით დამწვარ ველზე სახელდახელო ტრიბუნა აემართათ. ტრიბუნაზე იდგა მობრილი მოხუცი. სქელ ჯოხზე დაყრდნობილი შეკრებილთ თვალიერებდა.

— ხალხნო! დღეს ქართლის ცხოვრებაში ახალმა შუქმა შეანათა. ჩვენმა მთავრობამ არა თუ გვიხსნა ციციშვილების, ლეღვნიძეების, ვეზირიშვილების კლანჭებიდან და შეგვიქმნა ადამიანური ცხოვრების პირობები, არამედ ჩაგვება საერთო მშენებლობის ფერხულში. დღეიდან ქართლის გულშიც აგრიალდება მანქანები და დაინთება ქარხნების ცეცხლი.

ეს იყო პირველი ხუთწლედის მიჯნაზე, გადამწყვეტი წლის 5 ივლისს. ამ დღეს ქართლის შუა გულში, მივარდნილ, ყრუ აგარაში, რკინიგზის ხაზსა და მტკვარს შორის გაშლილ ტრიალ მინდორზე საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პირველ შაქრის ქარხანას.

თვრამეტმა თვემ განვლო მას აქეთ. რა არის თვრამეტი თვე ისტორიისათვის! მაგრამ ქართლის ცხოვრებაში თვრამეტი თვე თვრამეტ საუკუნეს უდრის. ის, რაც განუხორციელებელ ნატვრათ ჰქონდა აკვიატებული ქართლს ასეული წლების მანძილზე, ის, რაზედაც ოცნებობდა ქართლელი გლეხი ერეკლე მეფიდან უკანასკნელ დრომდე, თვრამეტ თვეში განხორციელდა. თვრამეტ თვეში დავაჟკაცდა შაქრის გიგანტი, ქართლის ინდუსტრიალიზაციის პირველი მერცხალი, რომელიც ამჟამად დაჰყურებს ახლა ირგვლივ გაშლილ ყანებს და თავისაკენ მოუწოდებს მათ წიაღში ჩამალულ ჭარხალს.

შაქრის ქარხანა საქართველოში! ათიოდე წლის წინად ეს ოცნების სფერო იყო. ერეკლე მეფემ ინდოეთიდან გამოიწერა შაქრის სპეციალისტი, სომეხი სოვდაგარი ნარტუგიანი. ჩვენ „პატივს არ ვცემთ“ სოვდაგრებს. მით უმეტეს არ გვესაჭიროება მათი იმპორტი. ჩვენ საკუთარი ხელით ვაშენებთ სოციალისტურ ინდუსტრიას და ამ საქმეში ვიყენებთ მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილებას. საქართველოს პირველი შაქრის ქარხანაც ამ წესით არის აგებული. ის დამყარებულია უკრაინის ქარხნების და უკრაინელ სპეციალისტების გამოცდილებაზე.

ბევრი სამრეწველო წამოწყება შექმნა პირველმა ხუთწლედმა საქართველოში. აგარის შაქრის ქარხანა მათ შორის შევა როგორც კვების მრეწველობის უდიდესი საწარმოო, რომელმაც უნდა გარდაქმნას ქართლელი გლეხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები და შაქარი ფუფუნების საგნიდან, როგორათაც ის ითვლებოდა გლეხობის თვალში, მისი დუხჭირი ცხოვრების გამო, ყოველდღიურ მოხმარების, კულტურულ ცხოვრების საგნად გადააქციოს.

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანე მხოლოდ საომარ ეპიზოდებს აღნიშნავდა თავის მატიანეს ფურცელზე. ქართლის ცხოვრების ახალ მატიანეში საომარი მოქმედება ადგილს დაუთმობს ინდუსტრიალურ მშენებლობას. პირველ ფურცელზე, რომლითაც იწყება ქართლის ცხოვრების ახალი მატიანე, მემატიანე აღნიშნავს: მეორე ხუთწლედის პირველ წელს, აგარაში ამუშავდა საქართველოს პირველი შაქრის ქარხანა 120 ტონა შაქრის ნაყოფიერებით დღე-ღამეში.

ქარხნების ისტორიკოსები უფრო დაწვრილებით შეჩერდებიან ამ ქარხანაზე.

*

აგარის შაქრის ქარხნის დღე-ღამის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულია 10.000 მეტრიული ცენტნერის (მეტრიული ცენტნერი უდრის 100 კილოგრამს) რაოდენობით. მუშაობის პირველ წელში ქარხნის დღე-ღამის ნაყოფიერება იქნება 8.000 ცენტნერი (120 ტონა), შემდეგ კი ქარხანა მიაღწევს გეგმით გათვალისწინებულ ნაყოფიერებას.

აგარის ქარხანა ნედლეულით საკმაოდ უზრუნველყოფილია. მას აქვს ჭარხლის საკუთარი საბჭოთა მეურნეობა. ამ წლის სეზონის განმავლობაში ქარხანა მიიღებს 447.000 ცენტნერ ჭარხალს; აქედან თეთრი შაქარი მიღებული იქნება 67.000 ცენტნერი. ამას გარდა დარჩება 28.000 ცენტნერი ნარჩენი, რომელიც თუმცა შაქრის საკმაო რაოდენობას შეიცავს, მაგრამ მისი გადამუშავება იმდენად ძვირი ჯდება, რომ ხელსაყრელად არ არის მიჩნეული. ეს ნარჩენები მიდის პირუტყვის საკვებად და სპირტის გამოსახდელად.

ნედლეულის ხარისხის მხრივ საქართველოს შაქრის ქარხანა საუკეთესო პირობებშია საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ ქარხნებთან შედარებით. საქართველოს ჭარხალი საშუალოდ შეიცავს 21 პროც. შაქარს, მაშინ როდესაც უკრაინის ჭარხალში შაქრის შემადგენლობა არ აღემატება 19 პროცენტს. ეს უდიდეს პერსპექტივებს შლის შაქრის მრეწველობის წინაშე ჩვენში.

შაქრის ჭარხალი დიდიხანია ცნობილია საქართველოში. მაგრამ სამრეწველო დანიშნულება ამ კულტურას მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიეცა მას შემდეგ, რაც შაქრის ქარხნის აგების საკითხი რეალურ ნიადაგზე დადგა. ჭარხალმა მთელი გადატრიალება მოახდინა ქართლის სოფლის მეურნეობაში. იქ, სადაც დღემდე პური და სიმინდი ბატონობდა, ამჟამად ჭარხალი იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას. ჭარხალი ითესება არა მარტო შაქრის ქარხნის საბჭოთა მეურნეობაში, არამედ გორის, სტალინისის და კასპის კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში.



ბორჯომი. ბორჯომის ათწლედში პოლიტექნიზაცია ტარდება ათწლედის შეფის—ბორჯომის მინ. წყლების ქარხნის აქტიური დახმარებით. სურათზე—ახალი ნარჩენის დაჯგუფ ათწლედის სახელოსნო ცეხში.

ჭარხლის მოყვანის სათანადო გამოცდილების უქონლობა გავლენას ახდენს ამ კულტ. მოსავლიანობაზე. ქართლის გლეხობა მხოლოდ ეხლა ეჩვევა ნამდვილად ამ კულტურას. აქამდე ჭარხლის თესვას საცდელი ხასიათი ჰქონდა. შარშან კოლმეურნეებმა აგარის საბჭ. მეურნ. ერთად აიღოს 68.000 მეტრიული ცენტნერი ჭარხალი. მაგრამ ეს იყო შარშან. წელს უკვე მოსავალი ყველა სექტორებში ნავარაუდევია 410.000 ცენტნერის რაოდენობით.

ჭარხლის პლანტაციებზე საჭიროა უმთავრესად ქალის შრომა. თუ გიმგზავრიათ ზაფხულზე მატარებლით გორიდან ხაშურამდე, რკინისგზის ხაზის ორივე მხარეზე შეამჩნევდით ჭრელი თავსაფრებით გაფერადებულ მინდვრებს. ესენი უკრაინელი ქალებია, რომლებიც მოწვეული არიან იმისათვის, რომ დანერგონ ჩვენში შაქრის ჭარხლის მოვლის წესები. ამ რიგად, აგარის შაქრის ქარხანა მამაკაცის შრომასთან ერთად ფართო ასპარეზს უხსნის ქალის შრომის გამოყენებასაც. შაქრის ქარხანამ ქართველი გლეხი ქალი უნდა გამოიყვანოს დაბეჩავებულ მდგომარეობიდან და გზა გაუხსნას მას კულტურისა და ინდუსტრიალური ცხოვრებისაკენ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჭარხლის გადამუშავების შემდეგ რჩება დიდძალი ნარჩენი, რომელიც გამოსადეგია პირუტყვის საკვებად. ამ ნარჩენების საფუძველზე ჭარხლის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყობა დამხმარე მეურნეობა: სარძეო ფერმა და მეღორეობის სადგური. ფერმას ეყოლება 1.000 ჯიშიანი ძროხა. აქვეთივე ფართო ნიადაგზე იქნება დაყენებული მეღორეობის მეურნეობაც. მეღორეობის სადგურის გაფართოების საფუძველზე მომავალში განზრახულია აიგოს ბეკონის ქარხანა.

ასეთია საქართველოს პირველი შაქრის ქარხნის აწმყო და მომავალი. ქარხანა პირველ წლებში იმუშავებს სეზონურად, 120 დღე წელიწადში. რადგან საშაქრე ჭარხალი შეიძლება შენახულ იქნეს ოთხი თვის განმავლობაში. ქარხ. იმუშავებს ზამთრობით. შემდეგში ქარხანასთან მოეწყობა ჭარხლის საშრობი ამერიკული ფარდულები. მაშინ ქარხანა იმუშავებს განუწყვეტლივ 250 დღეს წელიწადში და მოგვცემს დაახლოვებით 2.500.000 ფუთ შაქარს.

აგარაში მატარებელი მცირე ხნით დგება. ვერც კი მოასწრებთ ვაგონიდან გადმოსვლას, რომ თქვენს წინ მშენებლობის ფართო სურათი გადაიშლება. ტრიალ მინდორზე სოკოებივით გადმონტოტებულან ერთ- და სამსართულიანი ქვიტკირის სახლები. ცენტრალურ ადგილას აღმართულია ქარხნის უზარმაზარი კორპუსი.

მე რამდენიმეჯერ ვყოფილვარ შაქარმშენზე, მინახავს მისი გაჭირვების და დაბრკოლების დღეები, მოწმე ვყოფილვარ სამშენებლო მასალის ნაკლებობით გამოწვეულ დაბრკოლებების და შრომის ენტუზიაზმის უდიდესი გაქანების. მშენებლობას თითქმის ყოველთვის აკლდა მუშა-ხელი. მშენებლობის ტეხნიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა მუშაობის მექანიზაციით აენაზღაურებია მუშა-ხელის სიმცირე, ამ დარგში მშენებლობას აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიღწევები. მშენებლობაზე შემოღებული იყო ელექტრო-შედუღების მეთოდი. საბჭოთა კავშირის არც ერთი შაქრის ქარხნის მშენებლობაზე არ ყოფილა ისე ფართოდ გამოყენებული ეს მეთოდი (1932 წელს საბჭოთა კავშირში შენდებოდა 20 ახალი შაქრის ქარხანა), როგორც აგარაში. ამას გარდა, შემოღებული იყო მთელი რიგი სხვა ტეხნიკური გაუმჯობესებანი (პნევმატიური ქედვა, მუშაობდა სწრაფმჭედი უნივერსალური მანქანა „პელსი", და სხ.). ყველა ამან საშუალება მისცა შაქარმშენის მუშებს მცირე დაგვიანებით დაემთავრებიათ მშენებლობა (გეგმით ქარხანა უნდა ამუშავებულიყო 1932 წლის 1-ლ ნოემბერს); ამ დაგვიანებას ადგილი არ ექნებოდა, რომ ხარკოვის, კიევის და ბერდიჩევის ქარხნებს დროზე გამოეგზავნათ შეკვეთილი მოწყობილობა.

ამჟამად მშენებლობის პერიოდი, ყველა მისი სიძნელეებით და მშენებელთა ნერვიული მოუთმენლობით, განვლილია, ქარხნის მთ. კორპუსს შემოეხსნა ხარაჩოები. კოხტად გამოიყურებიან თლილი ტუფით ავარდისფერებული მუშათა სახლები. ცოტა მოშორებით ლამაზად ბრწყინავენ ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორები.

საამშენებლო მოედანზე უკანასკნელი ფუსფუსია. მშენებლობის მუშები და ტეხნიკური პერსონალი ემზადებიან საქართველოს პირველი შაქრის ქარხნის ამუშავების საზეიმო დღისათვის. ასუფთავებენ მოედანს, სწმენდენ მანქანებს, ამოწმებენ მოწყობილობას.

ქარხანა პირველსავე ხუთდღიურში მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს, ე. ი. დღე-ღამეში გადაამუშავებს 8.000 ცენტნერ ჭარხალს და მოგვცემს 120 ტონა შაქარს.

ქარხნის ამუშავების დღე „ქართლის ცხოვრებაში" ჩაიწერება როგორც დიდი ინდუსტრიალური გამარჯვების თარიღი. ამ დღეს აგარის ველიდან დაიძვრება ქარხნის ბოლი, ნიშანი ახალი ხანის დაწყებისა ქართველი გლეხის ცხოვრებაში.

**შალვა გუაჩიძე**



მწვანეულობა საქარხნო ეზოებში. ბაღი ქარხანასთან „სერპ ი მოლოტ" (მოსკოვი).

# საქ. სარეწაო კოოპერაცია ფართო მოხმარების საგნების დამზადებისათვის ბრძოლაში

ფართო მოხმარების საქონლის მასიურად დამზადება უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა.

საკავშირო მთავრობის 23 ივლისის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის მუშაობისა და ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნის შესახებ", არის სარეწაო კოოპერაციის სახელმძღვანელო პროგრამა, რომელმაც მოგვცა უდიდესი გარდატეხა სარეწაო კოოპერაციის მუშაობაში, კერძოდ ფართო მოხმარების საგნების დამზადების საქმეში. დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სარეწაო კოოპერაციის **ძირითად წარმოებას უნდა შეადგენდეს ფართო მოხმარების საქონლის დამზადება.** დადგენილებამდე კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა ფართო მოხმარების საქონლის დამზადებას. არტელები უმთავრესად დაინტერესებულნი იყვნენ მსხვილი ნაწარმოების დამზადებით. დადგენილების გამოქვეყნებამდე სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციული ფორმები არ აძლევდა საშუალებას არტელებს, დამოუკიდებლად ემოქმედნათ, თითოეული არტელი ნაკლებად ზრუნავდა ნედლეულის მომარაგებისათვის. ისინი შეჰყურებდნენ ნედლეულით ცენტრალიზირებული მომარაგებას და ვერ ასრულებდნენ საწ. საფ. გეგმებს.

ამ მდგომარეობას ითვალისწინებდა საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 23 ივლისის დადგენილებაც, რომელსაც აღნიშნავდა, რომ თვითეულ არტელმა უნდა გამოიჩინოს მეტი ინიციატივა, გაშალოს თვითდამზადება და ამით შესძლოს ნედლეულის მომარაგება.

მთავრობის ამ დადგენილების 2-3 თვის შემდეგ გამოქვეყნდა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის რეზოლიუციები. თვითდამზადების ფართოდ გაშლა, თვითინიციატივის გამოჩენა, ნარჩენების და უტილნედლეულის მაქსიმალურად გამოყენება და ამ საშუალებით ფართო მოხმარების საქონლის მასიურად დამზადება — აი ის ძირითადი საბრძოლო ამოცანები, რომლებიც დაუსახა სარეწაო კოოპერაციას საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმმა.

პარტიის და მთავრობის ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე ყველა ამ საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. სექტემბრის პლენუმის რეზოლიუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „გადაწყდა მოეწყოს საწარმოებთან უტილსაამქროები, იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას ნარჩენები ფართო მოხმარების საქონლის დამატებით დასამზადებლად".. და სხვა.

ფართო მოხმარების საქონლის მასიურად დამზადების ამოცანასთან ერთად დღის წესრიგში დგას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მდგომარეობას ხაზი გაუსვა საკ. კ.პ. (ბ) სექტემბრის პლენუმმაც. მართალია, შეიძლება ზოგიერთი არტელმა იმით იმართლოს თავი, რომ მას არ აქვს კარგი ხარისხის ნედლი მასალა, რომ ის ფართო მოხმარების საქონელს ამზადებს ნარჩენებიდან და უტილნედლეულიდან და ამიტომ ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. რასაკვირველია, ეს არ არის გასამართლებელი საბუთი. სარეწაო კოოპერაციის თვითეულ არტელის წევრმა უნდა შეიგნოს ის, რომ **უტილნედლეულიდან საქონლის დამზადება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დამზადებული იქნას ცუდი ან დაბალი ხარისხის საქონელი.**

ცეკას სექტემბრის დადგენილებაში მოცემული ერთ-ერთი კონკრეტული ღონისძიება პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის დარგში: „ნაწარმის ხარისხისათვის ბრძოლის მიზნით, შემოღებულ იქნას ფართო მოხმარების საქონლის სავალდებულო **დადაღვა,** როგორც მრეწველობის, **ისე სარეწაო კოოპერაციის ხაზით**". დღემდე დადგენილების ეს მუხლი მთლიანად განაღდებული არ არის. საკოლმეურნეო ბაზარზე შეხვდებით დაბალი ხარისხის ფართო მოხმარების საქონელს, ხშირად უვარგისსაც კი და რომ გინდოდეს გაიგო, თუ ვინ დაამზადა ის, ვერ მოახერხებ, რადგან დადაღული არ არის.

მთავრობის 23 ივლისის დადგენილების და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. როგორ შეასრულა დასახული საბრძოლო ამოცანები კერძოდ საქ. სარეწაო კოოპერაციამ?

საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ მთავრობის 23 ივლისის დადგენილების საფუძველზე მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა. სარეწაო კოოპერაციის სხვადასხვა გაერთიანებანი გადაკეთდა სპეციალურ კავშირებად. სულ სისტემაში არის 8 სპეცკავშირი. ესენია: საფეიქრო, ტყავეულის, ლითონის, გემო-კვების, სამთო-საამშენებლო, ქიმიური, სატრანსპორტო და სხვ. რაც შეეხება სატყეო კავშირს, ის გამოეყო სარეწ. კოოპ. და დადგენილების თანახმად დაექვემდებარა საკავშირო სატყეო ცენტრს. ჩამოყალიბდა სარეწაო კოოპერაციის საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს არტელებს.

პირველი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით (1927-32წ.წ.) საქ. სარეწაო კოოპერაციას უნდა გამოეშვა 220,9 მილიონი მან. პროდუქცია. ფაქტიურად ხუთწლიანი გეგმა 3 წელსა და 9 თვეში შეასრულა 124,4 პროც. დარგების მიხედვით ხუთწლიანი გეგმის შესრულება იძლევა შემდეგ სურათს: სამკერვალო-სატრიკოტაჟო წარმოებამ 5 წლიანი გეგმა შეასრულა 138 პროც. საფეიქრო წარმოებამ 118,6 პროც., ქიმიურმა — 204,2 პროც., და მინერალების ამოღება გადამუშავების დარგში — 120 პროც. ეს გამარჯვება სარეწაო კოოპერაციამ მოიპოვა პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და პარტიის გენერალური ხაზისათვის ენერგიული ბრძოლის გზით.

რაც შეეხება 1932 წლის საწ. საფ. გეგმის შესრულების საქმეს, აქ შემდეგი მდგომარეობაა: სარეწაო-ქიმიურ კავშირს ათი თვის გეგმით უნდა გამოეშვა 3.945.800 მან. პროდუქცია, ფაქტიურად კი დამზადებულია 5.400 ათასი მან. პროდუქცია. სარეწაო გემო-კვების კავშირმა 10 თვის განმავლობაში დაამზადა 18.107.300 მან. პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 16.160,200 მანეთისა (გეგმის 112 პროც.) სამთო-საამშენებლო კავშირმა 10 თვის განმავლობაში, წლიური გეგმა შეასრულა 99,5 პროც., ასეთივე მიღწევები მოიპოვა სხვა სპეცკავშირებმა. ხოლო აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციამ წლიური გეგმა თერთმეტი თვის განმავლობაში შეასრულა 47,7 პრ., აჭარისტანმა კი — ათი თვის განმავლობაში დაამზადა 8.114 ათასი მან. საქონელი. სულ სარეწაო კოოპერაციას გასულ წელში უნდა დაემზადებია 116 მილიონი მან. საქონელი. 11 თვის განმავლობაში კი დაამზადა 111 მილ. მან. საქონელი.

რაც შეეხება კერძოდ ფართო მოხმარების საქონლის დამზადების საქმეს, აქ შემდეგი სურათი გვაქვს. როგორც აღვნიშნეთ, ფართო მოხმარების საქონლის დამზადებას არტელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. მხოლოდ მთავრობის 23 ივლისის დადგენილების შემდეგ. რის შედეგად სარეწაო კოოპერაციის საერთო გეგმა გადიდდა 4 მილიონი მანეთით. ამ დამატებითი გეგმასთან ერთად 1932 წელს უნდა დამზადებულიყო 63.556 ათასი მან. ფართო მოხმარების საქონელი. ათი თვის გეგმა წლიურ გეგმასთან შეფარდებით უდრის 83,3 პროც., ნოემბრის და დეკემბრის შეუჯამებელი ცნობები იძლევა იმის გარანტიას, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ასეთია ის გზა, რომელიც სარეწაო კოოპერაციამ გაიარა ხუთი წლის განმავლობაში პროდუქციის და სა-

ერთოდ ფართო მოხმარების საქონლის დამზადების საქმეში. განვლილი გზა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტებს, რომ საქ. სარეწაო კოოპერაციის სრული შესაძლებლობა აქვს იმის, რომ მასიურად დაამზადოს ფართო მოხმარების საქონელი.

როგორია მდგომარეობა სხვა დარგებში? მთავრობის 23 ივლისის დადგენილების გამოქვეყნებამდე იყო ისეთი შემთხვევები, როცა სარეწაო კოოპერაციის არტელები ნედლეულის უქონლობის გამო უმოქმედოთ იდგენ. ამჟამად ეს მდგომარეობა შეიცვალა. ახლა არტელები თვითონვე იბრძვიან იმისათვის, რომ მოიმარაგონ ნედლეული. მაქსიმალურად გამოიყენონ ნარჩენები, უტილნედლეული და დაამზადონ ფართო მოხმარების საქონელი. ფართო მოხმარების საქონლის დამზადებისათვის სპეციალურად გამოყოფილია არტელი **„ფართო მოხმარება"**, სადაც მუშაობს 230 შინამრეწველი. ესენი მუშაობენ მხოლოდ ნარჩენებზე და უტილნედლეულზე.

ცხადია, რომ საქ. სარეწაო კოოპერაციის მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ფართო მოხმარების საქონლის დამზადების დარგში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ამით დაკმაყოფილდეს და არ გაშალოს ბრძოლა კიდევ უფრო მეტი ფართო მოხმარების საქონლის დამზადებისათვის.

არა ნაკლებ საინტერესოა სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული საქონლის მშრომელ მომხმარებლებამდე დაყვანის საკითხი. მახვილ არტელებს უნდა ჰქონდეთ სანიმუშო სავაჭრო ქსელი, საიდანაც ისინი მიაწვდიან საქონელს მომხმარებლებს. სარეწაო კოოპერაციის სისტემაში სულ არის 203 საცალო სავაჭრო წერტი, ხოლო რაც შეეხება კოოპერაციის სავაჭრო გაერთიანებას, მას აქვს სულ 65 წერტი. აქედან—ქალაქებში 26, კოლმეურნეობებში—22, ბაზრებზე—9, ფაბრიკა-ქარხნებში—8 წერტი. ეს არ არის საკმარისი, საჭიროა, უფრო მეტად გაფართოვდეს სავაჭრო ქსელი და იგი უზრუნველყოფილი იქნას ფართო მოხმარების საქონლით.

მეორე ხუთწლედში — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ხუთწლედში უფრო მეტი საპასუხისმგებლო ამოცანები იშლება სარეწაო კოოპერაციის წინაშე. სახელდობრ შინამრეწველთა შეკავშირების საკითხი. გასულ წლებში ამ საქმეში არ იყო მთლიანად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. წელს მეორე ხუთწლედის პირველ წელს ამ საქმეს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მიმდინარე წლის ბოლოსათვის სისტემას უნდა ჰყავდეს 30.772 შინამრეწველი.

მიმდინარე წელს დამზადდება — 153.608 ათასი მან. პროდუქცია. აქედან 70 პროც. ფართო მოხმარების საქონელი იქნება. ცალკე დარგების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: საფეიქრო კავშირის ხაზით გამოშვებული იქნება 24 მილიონი მან. საქონელი. სატყეო კავშირის მიერ —28 მილიონი მან. ქიმიური კავშირის მიერ—7 მილიონი მან. სხვადასხვა სარეწაოთა კავშირები დაამზადებს— 11 მილიონ მან. საქონელს. სამთო-სამშენებლო კავშირის მიერ დამზადებული იქნება 21 მილ. მან. საქონელი, გეშო-კვების კავშირი—20 მილ. მან. აჭარისტანის სარეწაო კოოპერაცია დაამზადებს 11.300 ათასი მან. საქონელს, ხოლო აფხაზეთი—10 მილ. მან. საქონელს. დამზადებული იქნება 103.011 ათასი მან. ფართო მოხმარების საქონელი.

ეს საბრძოლო პროგრამა ავალებს სარეწაო კოოპერაციის არტელებს, კიდევ უფრო გაშალონ ბრძოლა ფართო მოხმარების საქონლის ამ გეგმის შესრულებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნედლეულით დამზადების საქმეს. 1933 წლის საკონტროლო ციფრებში, ნედლეულის თვითდამზადებას მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს მიქცეული. საკმაო წინააღმდეგობა უნდა გაეწიოთ იმ „თეორიას", რომ თითქოს სარეწაო კოოპერაციის არტელები არ მისულან მოწოდების იმ სიმაღლემდე, რომ მათ დამოუკიდებლად შეეძლოთ დაამზადონ ნედლეული. **ყურადღება უნა მიექცეს** აგრეთვე ნარჩენების მომარაგების შესახებ ფაბრიკა-ქარხნებთან ხელშეკრულების დადებას, რასაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ფართოდ გავშალოთ ნედლეულის თვითდამზადება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ შინაგანი რესურსები და ნარჩენები — ასეთია სარეწაო კოოპერაციის არტელების უახლოესი ამოცანა. მხოლოდ ამით არის შესაძლებელი მიმდინარე წლის გეგმების შესრულება და ამით პარტიის და მთავრობის დავალების პრაქტიკულად განაღდება.

**კ. კალანდაძე.**



ქარხანა ფუნიკულიორი (თბილისი). ქარხნის ერთ-ერთი კორპუსი.

# ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲘ

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ინდუსტრია საჭიროებს დიდძალ საწვავ მასალას. მეტი ქვანახშირი! — მოითხოვს იგი ტყიბულისაგან. უკანასკნელიც სჭიდავს ძალღონეს, მაგრამ მარტო მას არ შეუძლია უზრუნველყოს მოთხოვნილება; საჭიროა დახმარება, რომ ქარხნებს არ მოაკლდეს მასულდგმულებელი ცეცხლი.

[illegible]ახლოხანში ჩვენს წინაშე იშლება მდიდარი პერსპექტივები ტყვარჩელის ძვირფასი ქვანახშირის მდიდარი საბადოების სახით, რომლის ექსპლოატაცია წელს უნდა იქნეს დაწყებული.

ჩვენი ქვეყანა უხვად არის დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრეებით. ძლიერ საუკეთესო ნახშირის მდიდარი ბუდობები მოგვეპოვება აფხაზეთში — ტყვარჩელში. „აკარმარა" — აი უდიდესი ადგილი, საიდანაც ბუდობები მოიპოვება. იგი მოთავსებული მთაგრეხილებში, რომელიც ერთის ...ით შუა გაჰყავს ანკარა და მქეხარე მდ. გალიზგას, ოჩემჩირიდან ახლად გაყვანილ რკინისგზიდან აკარმარა 215 კილომეტრითაა დაშორებული.

ამ სიმდიდრეს ამ 50 წლის წინად შემთხვევით წააწყდა უცნობი აფხაზი მწყემსი, რომელიც ამ მიდამოებში პირუტყვს აძოვებდა. აბა რას წარმოიდგენდა იგი ნამდვილი საუნჯის წინაშე, რომ თავისი აღმოჩენით ოდესმე სამსახურს გაუწევდა მაშინ საოცნებო — მომავალ სოციალისტურ მშენებლობას.

ტყვარჩელის ქვანახშირმა მალე მიიპყრო გეოლოგების ყურადღება. დაიწყო მადნის კვლევა-ძიება, მაგრამ, საქმე ამას იქით არ წასულა, ვერავინ ვერ მოაბა თავი ქვანახშირის ამოღების დაწყებას. თვით იტალიური ფირმა „ილვა"-მაც ვერ მოახერხა მადნის ექსპლოატაციის საკითხის მოგვარება.

და აი, მოვიდა პროლეტარული ხელისუფლება და მან სიტყვა საქმედ აქცია, ტყვარჩელის ქვანახშირის საკითხი პრობლემიდან რეალურ საქმედ გახდა.

მრავალი მოსაზრებები არსებობდა ტყვარჩელის მარაგის შესახებ სხვადასხვა გეოლოგი სხვადასხვაგვარ ციფრებს იძლეოდა და მხოლოდ უკანასკნელად, 1932 წელს ეს მარაგი გამოარკვია ინჟ. **ვ. ვ. მაკარინსკიმ,** რომლის ცნობებითაც **ტყვარჩელის ყველა ექვს უბანზე ნახშირის გეოლოგიური მარაგი აღწევს 100 მილიონ ტონას, ხოლო სამრეწველო მარაგი მარტო მე-2 და მე-3 უბნებზე გამორკვეულ იქნა 27,5 მილიონი ტონას რაოდენობით.**

კვლევა - ძიებას საბჭოთა ხელისუფლებამ 1925 წელს მოჰკიდა ხელი და საქმეს თავიდანვე ინჟ. მოკარინსკი ხელმძღვანელობდა. 1927 წელს კი ინჟ. **ვ. ვ. დანჩიჩმა** (მშენებლობის ეხლანდელი მთავარი ინჟინერი) დონბასის მეშახტე მუშების, ერთ ჯგუფთან ერთად, გაიყვანა [illegible] მთავარი გვირაბი აკარმარაში 250 მეტრზე და საბადოების სხვადასხვა უბნიდან ამოიღო 10.000 ფუთი ნახშირი, რომელიც გაიგზავნა დონბასში მისი დაკოქსვის უნარიანობის გამოსარკვევად. ეს ცდები იქ პროფ. **პ. გრუბინის** ხელმძღვანელობით სწარმოებდა და მიუხედავად იმისა, რომ დაკოქსვა ნახშირის გაუმჯობესებლად ხდებოდა, მან დადებითი შედეგები მოგვცა.

უკანასკნელად იგივე ცდები განმეორებით იქნა ქერჩის მეტალურგიულ ქარხანაში და **მიღებულ იქნა კოქსი, რომელიც თავის მექანიკური სიმტკიცით და ყველა დამახასიათებელი თვისებებით სავსებით აკმაყოფილებს წარმოების მოთხოვნილებებს. ცდების შედეგები ნებას იძლევა დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ტყვარჩელის ქვანახშირიდან მიღებული იქნება მეტალურგიისათვის გამოსადეგი კოქსი.**

აშკარა გახდა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირს შეუძლია გადასწყვიტოს საწვავ მასალის ნაკლებობის საკითხი, და დაიწყო მუშაობა მისი გამოყენების საქმის ორგანიზაციისათვის.

ჩამოყალიბდა სპეციალური ტრესტი — „ტყვარჩელმშენი"-ს სახით, რომელიც ეხლა პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ბელადის ამხ. **ი. სტალინის** სახელს ატარებს და 1930 წელს დაიწყო მთავარი გვირაბით თხრა. ეს იყო ტყვარჩელის მაღაროების მშენებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა. დღეს ეს უდიდესი საქმე ძირითადად დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. გათხრილია მთავარი გვირაბი ათასეულ მეტრზე

## მუშათა ჯანმრთელობის სადარაჯოზე



სურათზე: მუშა რკინისგზელები ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ტუბდისპანსერის (თბილისში) პროფილაქტორიუმში სადილობის დროს.

და ორი მაღარო შეერთებულია [illegible] 1.148 და 1730 მეტრზე.

უკვე არის შესაძლებლობა, რომ ნახშირის ამოღება ეხლავე დაიწყოს და კიდეც იყო გათვალისწინებული გასულ წელში 60.000 ტონა ნახშირის ამოღება, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, რადგან მოუთავებელია ზოგიერთი დამხმარე მშენებლობანი. ხოლო უმთავრესი მიზეზი კი, რომელიც მაღაროების ექსპლოატაციის დაწყების საშუალებას არ იძლევა, ეს არის მადნის გაზიდვის საქმის მოუგვარებლობა.

მაღაროების ტერიტორია აკარმარაში ძალზე შეზღუდულია მთებით. იქ არ არის ადგილი, სადაც შეიძლებოდეს ამოღებულ მადნის დაგროვება, საჭიროა მისი გადმოტვირთვა, მაგრამ ასეთ ტერიტორიას თქვენ 12 კილომეტრის მანძილზე ვერ ხედებით, იგი მთებითაა შეზღუდული. ერთად - ერთი ადგილი, სადაც შეიძლება ნახშირის დიდი რაოდენობით დაგროვება, — ეს კვეზანია. იქ დღეს გაშენებულია მთელი ქალაქი — ტყვარჩელის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ცენტრი, სწორედ აქედან — აკარმარამდე შენდება გზატკეცილი 12 კილომეტრზე და საბაგირო გზა 9 ნახ. კილომეტრზე. უკანასკნელი წარმოადგენს მთავარ სატრანსპორტო საშუალებას, რომლითაც იწარმოებს ამოღებულ ნახშირის მექანიკური გადმოტვირთვა. კვეზანშივე იქნება აგებული მადნის სარეცხი ქარხანა, საიდანაც გამდიდრებული ნახშირი გაიგზავნება რკინის გზით ოჩემჩირეში და სხვა კუთხეებში. ეს რკინის გზაც შენდება 35 კილომეტრის მანძილზე. საბაგირო გზის შენება მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის უნდა მოთავდეს და, ამ დროიდან დაიწყება მაღაროების ფართო და რეგულიარული ექსპლოატაცია, რკინის გზის შტო ოჩემჩირედან — კვეზანამდე უფრო ადრე დამთავრდება.

**პირველ წელიწადს ტყვარჩელი მოგვცემს 120.000 ტონა ქვანახშირს, ხოლო 1934 წლიდან ქვანახშირის წლიური ნორმალური ამოღება აყვანილი იქნება 1.400.000 ტონამდე.**

ნახშირი სპეციალურ ქარხანაში გარეცხვის შემდეგ გაიგზავნება ხალასი სახით, უნაცროთ.

ტყვარჩელი პირველი ხუთწლედის გმირული შრომის ნაყოფია. პირველმა ხუთწლედმა წარმოშვა და დაავაჟკაცა აფხაზეთის ნორჩი დონბასი. მეორე ხუთწლედიდან იგი ყოველწლიურად მიაწვდის ჩვენს სოციალისტურ ინდუსტრიას 1.400.000 ტონა საუკეთესო საწვავ მასალას.

**ან. კოლონჯერიძე.**

# აქ კეთდება აგური და კრამიტი

დაბურული, გაუვალი ჩირგვები, და ეკალბარი, რომელიც თავის ბალთებში ფარავდა მგლებსა და ტურებს, მოწითალო ტალახით აზელილი მდორე წყალი და ჭაობი, — აი უწინდელი ძიგური.

ვინ იცის, რამდენი ფარული კრებებისა და არალეგალური თათბირების მოწმეა ეს მიდამო. ძიგურის დახლართული ტყე ბევრ საიდუმლოებას ინახავდა. მას ახსოვს ბოლშევიკური, არალეგალური ბრძოლის დღეები.

— შუაღამეა და... ჩვენ ბოლშევიკები, რიცხვით 12, ნოსირის ერთ-ერთი უბნის პატარა ჩირგვნარში ფარულ კრებას ვმართავდით. დღის წესრიგი მეტად სერიოზულ საკითხებს შეიცავდა, საკითხების გარშემო გაცხარებული მსჯელობაა, და ჩვენი ძველი იძლევა ნიშანს — „მოდიან, თავს უშველეთ". — ჩვენ მივხვდით — მოდიოდა მენშევიკების რაზმი. გზა არ იყო, კრება დროებით უნდა შეგვეწყვიტა. ამ ჩირგვნარიდან გავიპარეთ და თავი ძიგურის ეკალნარში შევყავით... ჩვენი კვალი, ბევრი ცდის მიუხედავათ, ვერავინ აღმოაჩინა, კრება კი სრულიად დამშვიდებით ჩავატარეთ...— ასე გადმოუშალა ამხანაგებს ქარხნის ერთმა მუშამ წარსული ბრძოლის ეს ეპიზოდი და ძიგურის აქა-იქ შემორჩენილ ბუჩქნარს მოლიმარი თვალებით გადახედა...

ეს მიდამო, რომლისთვისაც არც მეფის და არც მენშევიკების მთავრობას არ მიუქცევია ყურადღება, მეტად მდიდარი აღმოჩნდა. საბჭოთა სპეციალისტებმა მეცნიერულად შეისწავლეს ძიგურის თიხა და გამოირკვა, რომ მისგან დამზადდება საუკეთესო ხარისხის აგური და კრამიტი... და 1929 წელს ამ ადგილზე აგებულ იქნა აგურ-კრამიტის ქარხანა.

მხოლოდ 1932 წელს წარმოებამ ქვეყანას მისცა 2.440.000 ც. აგური და 87.000 კრამიტი...

ამ აგურით ბევრ ახალ წარმოებას ჩაეყარა საფუძველი, აგებული იქნა ბევრი ახალი მუშათა სახლი, კლუბი, სკოლა, დაწესებულება და მრავალი სხვ. ქარხანა, რომელიც მოკლე ხანში გახდება საწარმოო - კერამიკული კომბინატი, კიდევ მეტ პროდუქციას მისცემს საბჭოთა ქვეყანას, ვიდრე დღემდე.

გამოშვება 4.500.000 აგურის და 200.000 კრამიტისა, აი საბრძოლო დავალება, რომელიც ქარხანას უნდა გაენაღდებინა 1932 წელს; ეს იყო წლიური დავალება, რომელიც დაყვანილ იქნა ცეხამდე, ბრიგადამდე, დაზგამდე და თვითეულ მუშამდე.

საბრძოლო დავალებამ დარაზმა მუშათა მასა: „ვიბრძოლოთ გეგმებისათვის", „მძლავრი შეტევა ჩამორჩენას", „შორს წარმოებიდან შრომის დეზერტირები", „არც ერთი დაზგა გაცდენილი" — გაისმოდა ლოზუნგები: ესაა დამკვრელთა ძახილი, მათი სიტყვები, რომელიც თვითეულ მუშაში იწვევს ახალ ენთუზიაზმს, სიტყვები, რომელიც მოუწოდებენ მუშებს გეგმებისათვის ბრძოლისაკენ. იწერება ხელშეკრულებები, სოცშეჯიბრების მუხლები; წარმოებას ემატება დამკვრელთა ახალი წყება... და დამკვრელად ცხადდება მექანიკური, სახერხი და სამჭედლო საამქროები... ქარხნის წინ მიდამო გაჭედილია ვაგონებით, მუშებით, რომლებიც ბარებით სთხრიან მიწას, ივსება ვაგონი თიხით და ბოუხუთით მიყვება აფუძნებულ ვიწრო ლიანდაგზე; ნედლი თიხა ტარდება საზელ მანქანაში, რომელიც ჩადის ძირს საჭრელ დაზგასთან, — და დამკვრელის ხელით იჭრება აგური, კრამიტი, ეწყობა ტრანსპორტზე და პირდაპირ შედის ფარდულებში. წარმტაცია ყველაფერი ეს, მხიბლავს მანქანების მწყობრი, ელვისებური მუშაობა...

ცეხებში, აგრეგატებში, დაზგებთან აზვირთდა შრომითი ენთუზიაზმი, ქარხანამ აიღო დამკვრელი ტემპები.

ასე დაიწყო 1932 წელი.

შედეგი? — პირველი კვარტალი გარღვევით დამთავრდა. დაზგებმა აუწყეს ქარხანას ჩამორჩენა; შავ დაფაზე დაიწერა ჩამორჩენილთა და შრომის დეზერტირთა სახელები. გახშირდა კრებები, თათბირები; ახმაურდა დირექცია, პარტუჯრედი, ქარხკომი, კომკავშირის ორგანიზაცია, — მაგრამ... სამარცხვინო სიტყვა: „გარღვევა" მაინც ვერ ამოვარდა საბუდარიდან; გეგმის შესრულებას აკლია ათეული პროცენტი; კვარტალური გეგმები გარღვევით დამთავრდა, წლიური გეგმაც სამარცხვინოდ ჩამორჩა.

ქარხანა დღესაც არ არის სათანადოდ მოწყობილი. არ არის ფარდულები და სხვ. კრამიტის დასაყალიბებელი პრესი ქარხანას არა აქვს. ნედლი თიხა, რომელიც კრამიტისათვის უნდა გადამუშავდეს, ტარდება სააგურე თიხის საზელ მანქანაში, რაც კრამიტისათვის გამოუსადეგარია; საკრამიტე პრესი ვერ ღებულობს ამ ნედლ თიხას, მანქანა ითხოვს მისი მეორეჯერ გატარებას საზელ მანქანაში. ამიტომ იფლანგება ძვირფასი დრო იმის გამო, რომ ქარხანაში არ სდგას საკრამიტე თიხის საზელი მანქანა.

— მოგვეცით საზელი დაზგა,— ითხოვდა მექანიკური საამქრო, მაგრამ ეს სამართლიანი მოთხოვნა დღემდე შეუსრულებელი დარჩა.

ვნახოთ რა იქნება მიმდინარე წელს...

წარმოება ითხოვს მეტ სტილაჟებიან ფარდულებს, ასეთი კი საკმაო არ არის, ცხადია ეს გეგმის შესრულებაზე ცუდად მოქმედობს.

ქარხანას ჩამორჩენა აქვს და კვარტალის ბოლოს დამკვრელი დეკადა გამოაცხადეს; მუშები თავაუღებლივ მუშაობენ, ტრიალებს ასეული მუშახელი, მანქანებმაც მოძრაობას უმატეს, თითქოს მათაც უგრძვნიათ ჩქარი ტემპების საჭიროება, გრიალებს მექანიკური საამქრო, საჭრელი დაზგა. ცეხებში მუშაობას სხვანაირი ელფერი აქვს...

— შევუტიოთ ჩამორჩენებს!

— [illegible] მეორე კვარტალში!—ისმის დამკვრელი მუშების ყიჟინი, რომელიც დაითრევს ფარდულებს, ცეხებს, ბოლოს ერევა მანქანების ხმაურს და მექანიკური სახელოსნოს მოზრდილ დარბაზში იკარგება.

გაცხარებული მუშაობაა, და უცებ შეწყდა მანქანის გუგუნი. ლენტები ბორბლებზე უეცრად გაჩერდა, მისწყდა გრიალი. მექანიკური საამქროს მეორე სართულიდან სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა?!

მუშების სახეზე მწარე გულისწყრომა ამოიკითხებოდა.

— შესწყდა ელდენი!

— შესწყდა!—აუწყა ქარხანას მექანიკოსმა და ბრიალა, ამღვრეული თვალებით გადახედა მანქანებს.

„შესწყდა ელდენი"—ორი სიტყვა, რომელსაც ქარხანაში ხშირად გაიგონებთ, სიტყვები, რომელიც ხშირად დამბლასავით დაეცემა წარმოებას...

ეს მოხდა ბევრჯერ; ასე ამრიგად წელს გაცდა 529,5 მანქანა-საათი.

არ არის წარმოებაში საკმაო ფარდული; მზადდება ნედლი აგური, კრამიტი, რაც შედის ტრანსპორტიორით ფარდულებში. მაგრამ იქ მათთვის ადგილი არ არის; ტრეტით გამომშრალი აგურები ნაცვლად იმისა, რომ გამოიწვას, ეწყობა სამარაგო ფარდულებში; ეს ხდება იმიტომ, რომ ნედლი ახლად მოჭრილი აგურისათვის ადგილი არ არის. ფარდულების უქონლობის გამო ცდება ზედმეტი მუშა-ხელი, იხარჯება ზედმეტი თანხა, ბოლოს... ზარალი და გარღვევა წარმოებაში. საამშენებლო მასალათა ტრესტი კი ყურსაც არ იბერტყავს.

იზრდება წარმოებაში შრომითი ენთუზიაზმი, იზრდება ახალი ადამიანი; მოვიდა სოფლიდან გლეხი— წვრილი მესაკუთრის ფსიქოლოგიით. ის აქ დაზგას შეეზარდა, მანქანის ხმაურს შეეჩვია. ის აქ გარდაიქმნა.

# სპარტაკელების აჯანყების 14 წლის თავი









შესრულდა 14 წელი სპარტაკელების [illegible] აჯანყებისა ბერლინში.

კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლი[illegible]ობით, მუშა სპარტაკელები გამოვიდნენ თავისი ბურჟუაზიის დამხობისა და შრომ[illegible] გამარჯვებისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვერაგულ პოლიტიკის წყალობით, აჯანყება დამარცხდა და ის სისხლში იქნა ჩახრჩობილი.

თვით რ. ლიუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი ვერაგულად მოკლეს ფაშისტმა ოფიცრებმა სოც.-დემოკრატიის ბელადების (შეიდემანი და სხვ.) ლოცვა-კურთხევითა და აქტიური დახმარებით.

**სურათებზე: 1) ამხ. როზა ლიუქსემბურგ, 2) სპარტაკელების საგუშაგო ბერლინის ერთ-ერთ ქუჩაზე იანვრის დღეებში, 3) კარლ ლიბკნეხტის და აჯანყების სხვა მსხვერპლთა დაკრძალვა. 4) კარლ ლიბკნეხტი მიტინგზე.**

---

გარდაიქცა წარმოების მოწინავე დამკვრელ მუშად.

თავს დამკვრელად ვაცხადებ — ეს იყო პირველი სიტყვა ქარხანაში ახლად მოსულ გლეხ-კომკავშირელის ამხ. ლავრენტი კიოასოხიასი; ეს იყო მტკიცე სიტყვა, რომელიც მისცა მან წარმოებას.

კომკავშირის უჯრედი სათავეში ჩაუდგა სოც.შეჯიბრება-დამკვრელობის გაშლისათვის ბრძოლის საქმეს; უჯრედმა აღზარდა ბევრი მუშა-კომკავშირელი და დღეს წარმოებას ყავს დამკვრელთა მძლავრი წყება.

— ვინ სდგას გეგმებისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე?

— აი მათი სახელები: ლ. ბესელია, ე. ჭანტურია, ლ. კილასონია, ს. ბესელია და ბევრი სხვაც კომკავშირის რიგებიდან.

კომკავშირის უჯრედმა ჩამორჩენის დასაძლევად 18 დეკემბერი (დასვენების დღე) დამკვრელ დღედ გამოაცხადა. ამ დღეს მუშაობდა კომკავშირის ქარხნის უჯრედის მძლავრი ძალა, რომელმაც გეგმის შესრულების მდგომარეობა საგრძნობლად წინ წასწია.

წითელი დაფა [illegible] თავის კანდიდატებს კომკავშირის ორგანიზაციის რიგებიდან გეგმებისათვის გმირული ბრძოლის გამო.

დეკემბერი ქარხანაში დამკვრელ თვედ გამოცხადდა. აღებული იქნა დამკვრელი ტემპები გეგმის შესრულებისათვის. ცეხებმა გაორკეცებული ენერგიით შეუტიეს გარღვევებს. დაზგებთან, ფარდულებში, ღუმელებთან, მინდვრად — დამკვრელი მუშაობის შედეგად — დამკვრელმა თვემ ქარხანა წინ წასწია, ქარხანა მეორე ხუთწლედში მეორე დავალებებით გადადის, რაც ქარხნის პარტ-კომკავშირული და პროფორგანიზაციების დარაზმვით და გაორკეცებული მუშაობის შედეგად იანვრის თვეში უნდა შეივსოს.

საკრამიტე ცეხის გახსნა, რომელიც წლიურად მოგვცემს 3 მილიონ ცალ კრამიტს, და 1 მილ. ნახევარ ცალ აგურის, თიხის მილების დამამზადებელი ცეხის გახსნა, რომელიც მოგვცემს 556.000 მეტრ მილს, სადგურე ცეხის გახსნა, რომელიც გამოუშვებს კრამიტის გასამშრალებელ შენობას, საკრამიტე ცეხთან ცალკე ღუმელების და ფარდულების გახსნა. საერთო საცხოვრებლის აგება 100 კაცისათვის, სასადილო 200 კაცისათვის, კლუბი 200 კაცისათვის, აბანო, აი რას ისახავს მიზნად ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა მეორე ხუთწლედში.

დაწყებულია მეორე ღუმელის მშენებლობა, რომელიც უნდა ამუშავდეს მეორე კვარტალში; ღუმელი იქნება ორსართულიანი და მოგვცემს 3-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე პირველი ღუმელი. მშენებლობა დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს.

მეორე ხუთწლედში ქარხანა მთლიანად მექანიზაციაქმნილი იქნება.

მეორე ხუთწლედის პირველი წლის დასასრულს — ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა გახდება საწარმოო-კეთილი კომბინატი.

სოციალისტური ქვეყანას ემატება ახალი გიგანტი!

**ვლადიმერ თოლორდუა.**

# „დაისი"–სახელმწიფო ოპერაში





# ამერიკელ უმუშევართა მშიერი ლაშქრობა ვაშინგტონში

დეკემბრის დასაწყისში ვაშინგტონში [illegible] თავს იყრიდნენ უმუშევართა კოლონები, რომ მოეთხოვათ კონგრესისა[illegible] ვაშინგტონის ხელისუფლებამ ორი დღის განმავლობაში დააკავა უმუშევრები ქალაქ[illegible] თავისი დარაზმულობის და სიმტკიცის წარ[illegible] სურათზე:



ვაშინგტონის გაზეთების ფოტო-რეპორტიორები [illegible] შიმშილის ლაშქრობის [illegible] ნილაბები [illegible]



[illegible]



გაზისა ბომბებით შეიარაღებული პოლიციელები ხვდებიან უმუშევართა [illegible] მონაწილეებს ვაშინგტონში.

# ქრონიკა

## უცხოეთში

### ახალი სამხედრო ფაშისტური ორგანიზაცია იაპონიაში



იაპონიაში მოეწყო ახალი სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაცია „გოკოკუ გოდოდან“, რომელშიაც გაერთიანებულია 12.000 სტუდენტი, 40.000 მოწაფე და 1000 პროფესორი. სურათზე—„შინგნ ალოკოკუ დან“-ის (პატრიოტთა ფაშისტური ორგანიზაცია) წევრები მიდიან „გოკოკუ გოდოდანის“ ალლუმზე.



**იაპონელი მოსწავლე ქალების სამხედრო რაზმები.** იაპონიის შკოლებში მოწყობილია სპეციალური ბატალიონები, რომლებშიაც მოწაფეები გადიან სპეციალურ სამხედრო კურსს.

**სურათზე**—იაპონიის სამხედრო მინისტრი ტოკიოს მოწაფე ქალთა სამხედრო რაზმების ალლუმზე.

### შობის ხე უმუშევართა ბავშვებისათვის



„ორი ძირგავარდნილი ფეხსაცმელით, მიღებული საზამთრო დახმარების სახით, საკონსერვო დეპარტამენტის კოლოფით, გახსნილი ... მილი, რომლითაც უმუშევრის შვილები მოიწყობილის თავი და მოსწავლეთა ... თავისი ოჯახი, შრომის ბირჟაზე ... მარაო—აი რითი შეეგება გერმანელი უმუშევარი „შობას“ — დღესასწაული ქრისტიანობის იმ დღეს, როცა „დედამიწაზე სულიერი მშვიდობიანობა დამყარდა შორის სათნოება“ (გერმანული მხატვრის ჯონ ჰარტფილდის მონტაჟი. ბერლინი).

### იმპერიალისტური ლაქბობა „განიარაღების“ შესახებ



ევროპა და ამერიკა ერთხმად ლაპარაკობენ: „... არის, შე ... რომ არ განიარაღებულხარ“ (ფრანგული პოლიტიკური კარიკატურა. ამერიკის ზარბაზნებზე სწერია: „თავდაცვითი შეიარაღება“, ევროპის ზარბაზნებზე: „სამხედრო შეიარაღება“).



● გერმანიის მთავრობა უმუშევრობის „მოსპობის“ მიზნით ატარებს ახალგაზრდობის სავალდებულო შრომის ბეგარას. ახალგაზრდები მოთავსებულნი არიან ბარაკებში. საიდანაც მათ უფლება აქვთ წავიდნენ მხოლოდ სამჯერ კვირაში (ორ-ორი საათით) სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, არავითარი ხელფასი მათ არ ეძლევათ. **სურათზე**: შრომის ბეგარის წესით გაწვეული ახალგაზრდობა არხების გათხრაზე ბერლინის ახლო.

ფასი 25 კაპ.

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა ყაშოს ქ. № 68.   მთავლიტის რწმუნებული გ—71.